ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 13 ივლისი, 2021 №126 (8655) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

დააკავეს გარემოსდაცვითი დეპარტამენტის თანამშრომელი

აზარტული და მომგებიანი თამაშების ბიზნესზე კონტროლი მკაცრდება

გვ.5

„მედიასთან ომი ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოიგო“

გვ.4

ბეჟან ნათელაშვილი: „მოძალადეების წამქეზებელი თვითონ ხელისუფლება იყო“

„5 ივლისი ხელისუფლების მთავარი პრობლემა გახდება“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „არ შეიძლება ეკლესიის წარმომადგენლების, ყველა ღვთისმსახურის ერთ ქვაბში მოხარშვა. იქ სხვადასხვა ჯგუფია. როგორ შეიძლება ასე ხელაღებით ყველას ლანძღვა და ეკლესიის დემონიზება“

დავით ჭიჭინაძე: „20 ივნისს ჟურნალისტებისთვის დამიზნებით სროლა რომ შეირგეს, ამის მერე გათავხედდა და გალაღდა „ოცნება“

გვ.3

„ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს და ქუჩაში გამოვიდეს“

„გამოჩნდა, რომ მთელი ეს ძალადობა ივანიშვილთან იყო შეთანხმებული“

გვ.3

დავით კირკიტაძე: „ვისაც თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა, პროტესტით არ უნდა დავიღალოთ“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ჟურნალისტები აქციაში ჩანერგილმა ხალხმა ცემა“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 ტვ „პირველის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმისთვის დავით კუტალაძე დააკავეს

2 ინგა გრიგოლია: „ან დაგვიჭირეთ, ან ბოდიში მოგვიხადეთ!“

3 ირაკლი კობახიძე: „რადიკალური ანტიქრისტიანული დაჯგუფებების ლიდერი სააკაშვილი პროცესებს კიევიდან მართავს“

6 კუბაში ფართომასშტაბიანი ანტისამთავრობო დემონსტრაციები იმართება

„5 ივლისი ხელისუფლების მთავარი პრობლემა გახდება“

თორნიკე შარაშენიძე: „არ შეიძლება ეკლესიის წარმომადგენლების, ყველა ღვთისმსახურის ერთ ქვაბში მოხარშვა. იქ სხვადასხვა ჯგუფია. როგორ შეიძლება ასე ხელაღებით ყველას ლანძღვა და ეკლესიის დემონიზება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო დღეებში განვითარებულ პროცესებს? საკმაოდ მძიმედ განვითარდა მოვლენები. ნაცემი ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა. რუსთაველზე ვიხილეთ პროტესტი. ამ ფონზე რამდენად ადეკვატურად იქცევა ხელისუფლება, როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– დავიწყოთ ხელისუფლებით. ხელისუფლებამ ყველაფერი ხუთიანზე რომ ჩაატაროს, ფაქტია, 5 ივლისის მოვლენები მისთვის დიდ შავ ლაქად დარჩება. ამის მერე მნიშვნელობა არა აქვს, ცხონებული ლაშქარავა როგორ გარდაიცვალა. მთავარი ახლა ის არის, რომ 5 ივლისს ძალადობა ვერ აღკვეთეს. აი, ეს არის სერიოზული პრობლემა და ამის მერე უკვე ყველაფერი რთულდება. ამის გამართლება ძალიან ძნელი იქნება. რაც არ უნდა აღმოაჩინონ, რა დასკვნაც არ უნდა დაიდოს გარდაცვლილთან დაკავშირებით, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარი უბედურება იყო 5 ივლისი! ეს არის დღეს ხელისუფლების მთავარი პრობლემა.

– რამდენად არის ახლა გარდაცვლილი ოპერატორის „გაშავების“ მცდელობა? ექსპერტიზის დასკვნასაც არ ელოდებიან და კამერებიდან ამოღებულ კადრებს ავრცელებენ. საით მიჰყავთ სიტუაცია?

– გასაგებია, რომ თავის მართლება იყო ამ კადრების დადება. მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი, რა მოხდა, მით უმეტეს მიცვალებულზე არაფრის ცუდის თქმას არ ვაპირებ... რითიც არ უნდა გარდაცვლილიყო, ეს 5 ივლისს ხომ ვერ ცვლის! 5 ივლისშია პრობლემა და არა იმაში, როგორ გარდაიცვალა ეს ადამიანი.

– ცოტა დაბნეული ჩანდა ღარიბაშვილი, როდესაც ამ პროცესებს აფასებდა. თქვენ რას იტყვით?

– რა თქმა უნდა, დაბნეულია. მათ იმედი ჰქონდათ, რომ 5-მა ივლისმა ჩაიარა, გადააგორეს. ჩაიარა უმსხვერპლოდ. ყველა ადამიანს ჰქონდა ამის განცდა, რომ რა კარგია, უმსხვერპლოდ მაინც დამთავრდა ეს ყველაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დამთავრდა. აი, ესაა საქმე...

– საკმაოდ მწვავე და კრიტიკულია დიპლომატიური კორპუსის განცხადებები. მედიამ მოითხოვა ღარიბაშვილისა და შს მინისტრის გადადგომა. ღარიბაშვილის განცხადებებიდან კი გავიგეთ, რომ ის არსად წასვლას არ აპირებს. პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– გამოვიდნენ მიტინგზე ოპოზიციური მედიის წარმომადგენლები და წამოუყენეს ულტიმატუმი. ამ დროს ლოგიკური კითხვა ჩნდება, გავიდა ულტიმატუმის ვადა და რას აპირებენ მერე?! შეუცვივდებიან, დაარბევენ თუ რა უნდა ქნან? გუშინ დაიმუქრეს, არ გავაშუქებთო და ეს საერთოდ სისულელედ მიმაჩნია. შესაბამისად, ამ ყველაფრის მერე ღარიბაშვილი ასე მარტივად არ წავა, რადგან მისი წასვლა აღქმული იქნება სისუსტის ნიშნად. არც „ოცნების“ ამომრჩევლების მიერ იქნება სწორად აღქმული.

– მაპატიეთ ამ ჟარგონისთვის, მაგრამ ზაფხულს არ „ვმაზავთ“, რაც „ოცნების“ ხელისუფლება მოვიდა, ყველა ზაფხული პოლიტიკურად ძალიან ცხელია. რამდენად მიიღებს ეს აქცია პოლიტიკურ ხასიათს? იქ ვნახეთ ოპოზიციონერი ლიდერები. რამდენად მართულ პროცესებს ელოდებით?

– პოლიტიკური ხასიათი, რა თქმა უნდა, მიიღო ამ ყველაფერმა. რაც შეეხება ცხელ ზაფხულს, აბა, რა გითხრათ, ჩემი სტუდენტობიდან მოყოლებული, წელიწადი არ მახსენდება, რომელსაც მშვიდად ჩაევლოს. ყოველთვის რაღაც უბედურება ხდებოდა. მართულ პროცესებს რაც შეეხება, დღეს მედია და ოპოზიცია ერთად დგანან. ეს ცხადზე ცხადია. რა თქმა უნდა, ისინი აუცილებლად შეეცდებიან, გამოიყენონ ეს სიტუაცია.

– ოპოზიცია ფიქრობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთი წამაქეზებელი განცხადება გააკეთა ამ რადიკალური ჯგუფების მისამართით. ასეა?

– ღარიბაშვილი ისევ აწვება პირველ ჩვენებას, როცა თქვა, რომ არ უჭერს არანაირად მხარს პრაიდს. ის ახლაც იმავეს იმეორებს. მოდით, ლოგიკურად გავყვეთ, საქართველოს ხელისუფლებას შეიძლება ჰქონოდა არგუმენტები და ეთქვა, რომ არ გაიმართოს პრაიდი რუსთაველზე, იმიტომ, რომ არ არის სასურველი. კი ბატონო, ეს გასაგებია. მეორე მხრივ, ბრბო რომ ვარდება რუსთაველზე, იქ ხომ უნდა იყო მზად წესრიგის დასაცავად. აი, ეს არის პრობლემა. რუსთაველზე რომ მოდის ეს ბრბო ხომ უნდა დახვდე მზად?! აი, აქ არის მისი მთავარი პრობლემა, რომ ბრბო ვერ დააკავა თუ არ დააკავა.

– ხომ შეეძლოთ, წყლის ჭავლი მაინც მიეშვათ, რატომ არ გააკეთეს?

– რა თქმა უნდა, შეეძლოთ. როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ეს ბრბო მოვა, იღრიალებს, ეს ბრბო დააშინებს როგორც პრაიდს, ისე ოპოზიციის მომხრეებსაც, თავის საქმეს გააკეთებს და წავა, მაგრამ ვერ გათვალეს, რომ ბრბოს არ უნდა დაუთმო. მათში გაიღვიძეს ინსტინქტებმა და მერე ბრბო ვერ გაკონტროლდა ვერავის მიერ.

– როგორია ეკლესიის როლი და ფაქტორი ამ პროცესებში?

– ეკლესიის ფაქტორს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ოპოზიციის ნაწილი არ იქცევა სწორად. ეკლესიასა და პირადად პატრიარქს კვლავაც დიდი რეიტინგი აქვს მოსახლეობაში. მე დიდად ეკლესიური ადამიანი არა ვარ, მაგრამ ობიექტურად უნდა შევხედოთ სიტუაციას. პატრიარქს მაღალი რეიტინგი აქვს. ახლა ადგე და ასე ხელაღებით ლანძღო ეკლესია და პატრიარქი, ჩემი აზრით, არასწორი პოლიტიკაა მათი მხრიდან. არ შეიძლება ეკლესიის წარმომადგენლების, ყველა ღვთისმსახურის ერთ ქვაბში მოხარშვა. იქ სხვადასხვა ჯგუფია. როგორ შეიძლება ასე ხელაღებით ყველას ლანძღვა და ეკლესიის დემონიზება. ქართველებს საერთოდ გვიყვარს უკიდურესობაში გადავარდნა. 90-იან წლებში ყველა ეკლესიაში დადიოდა და ახლა იმ ადამიანების უდიდესი ნაწილი ეკლესიას ლანძღავს 24 საათი.

„როცა 30 წელია, დამოუკიდებელი ხარ და მაინც სულ რუსულ კვალს ეძებ, ეს უკვე კომიკურია. რუსულ კვალსა და გარე ძალებზე უფრო სახიფათო შიდაუტვინობაა“

– დათმობს რამეს ხელისუფლება? ხომ ვხედავთ, როგორი დაძაბულობაა. როგორ განვითარდება პროცესები?

– ამ ეტაპზე არაფერს დათმობს. ხელისუფლების მხრიდან ახლა რაიმეს დათმობა მის სისუსტედ აღიქმება.

– არც შს მინისტრს გადააყენებენ?

– ალბათ – არა. ეს აღქმული იქნება სისუსტის ნიშნად და მეორეც, ხელისუფლება ფიქრობს, ჯამში, ეს პრობლემა საიდანაც წამოვიდა. საიდან წამოვიდა? პრაიდიდან, ხომ? აქ მოსახლეობის დიდი ნაწილი პრაიდის მოწინააღმდეგეა და, შესაბამისად, ხელისუფლება იგებს. ახლა ამას ფიქრობს ხელისუფლება.

– ანუ მაინც ხალხის მხარდაჭერის იმედი აქვთ?

– საზოგადოების უმრავლესობა მაინც პრაიდის მოწინააღმდეგეა. სწორედ პრაიდიდან წამოვიდა ეს ყველაფერი. ასეთია ხელისუფლების ლოგიკა და, შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ მხარეს დაიჭერს.

– ცოტა სხვა მოცემულობაა, ამ პროცესებმა მედია გააერთიანა. არ გაუჭირდება ხელისუფლებას მათთან ბრძოლა?

– ძირითადად აქ არის წარმოდგენილი მაინც ოპოზიციური მედია, მათთან გაიგივებული, ასე რომ...

– ჩვენ არ ვგავართ პოლიტიკოსებს, არ დავიღლებით და არც მარტივად დავიშლებითო. რამდენ ხანს ეყოფათ ეს გამძლეობა?

– მაგათაც რა ჰგონიათ, რამდენ ხანს არ დაიშლებიან? მართალი გითხრათ, დიდი ოპტიმიზმით არ ვუყურებ ამ პროცესებს. რამდენ ხანს იდგებიან? იდგებიან და ეჭიდავებიან პოლიციას? ამით რა მერე?!

– შეცვლის რამეს ექსპერტიზის დასკვნა?

– ნამდვილად არ ვიცი. დაველოდოთ, რა დასკვნა დაიდება.

– ასე რატომ გაიტაცეს გვამი? თითქოს აგონიაში არიან.

– ეს იყო პანიკის ნიშანი. ჩვეულებრივი პანიკა, მეტი არაფერი. მათთვის ხომ კატასტროფა იყო ადამიანის სიკვდილი. ეს თავისთავად ცხადია. ეს იყო პანიკის შედეგი, სხვა ახსნა არ მაქვს.

– ელით დასავლეთის მხრიდან კიდევ უფრო მკაცრ განცხადებებს? ამერიკის ელჩს დიდად არ მოსწონს ღარიბაშვილიო. როგორ აფასებთ მის განცხადებებს?

– ელჩის ნათქვამში ერთი რაღაცა მენიშნა. ამხელა ფული ჩადო ამერიკამ ჩვენი ძალოვნების ტრენინგსა და მათ აღჭურვაში და მერე ასეთ რაღაცას უყურებენ 5 ივლისს, ბუნებრივია, იმედგაცრუება იქნება.

– ანუ პოლიცია ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე?

– ჩვენც ხომ ვხედავთ, როცა მთავრობის ნებაა, პოლიცია გადასარევად მუშაობს. ორი ფაქტორის გამო მოხდა 5 ივლისის უბედურება. პირველი – არ ელოდნენ, რომ ბრბო ასეთ რაღაცებს ჩაიდენდა და დიდი რაოდენობით პოლიცია არ გამოიყვანეს რუსთაველზე და მეორეც, რაღაც ამბავში ცოტათი მიუშვეს პროცესები თვითონვე.

– ღარიბაშვილი სხვა დესტრუქციულ ძალებზე მიანიშნებს, ჩვენ გამოვიძიებთ, რატომ გახდა სამიზნე მაინცდამაინც მედიაო. რის თქმა უნდა?

– არ ვიცი, ახლა ღარიბაშვილი თუ იმას ამბობს, რომ ამ მოძალადეების ბრბოსაც საკაშვილი აკონტროლებს, ამაზე კომენტარი არ მაქვს. შეიძლება, სააკაშვილმა ისარგებლოს ამ ყველაფრით, რაც მოხდა, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ახლა სააკაშვილი აკონტროლებს გურამ ფალავანდიშვილს და კიდევ ვიღაცებს, ეს აბსურდია. ოპოზიცია რომ კონტაქტზე იყოს პრაიდთან, ეს კიდევ შემიძლია დავუშვა და წარმოვიდგინო, მაგრამ ეს ბრბო და სააკაშვილი – ვერა.

– რუსული ძალების ჩართულობაზე რას იტყვით? სულ ისმის ლევან ვასაძის სახელი და გვარი, მაგრამ, როგორც ცნობილია, ის ახლა ავადმყოფობს.

– ზოგმა ის აზრიც გამოთქვა, რომ გაერიდა აქაურობას და „სიმულანტობს“. მე როგორც ვიცი, ნამდვილად ცუდად არის. თუ გარიდება უნდოდა, გაერიდებოდა ერთი კვირით ადრე და კაცი ამდენი ხანია წასულია.

– ხედავთ რუსულ კვალს?

– როცა 30 წელია, დამოუკიდებელი ხარ და მაინც სულ რუსულ კვალს ეძებ, ეს უკვე კომიკურია. რუსულ კვალსა და გარე ძალებზე უფრო სახიფათოა შიდაუტვინობა. შიდაუტვინობაში ვგულისხმობ ხელისუფლების არაკომპეტენტურობასაც, პოლარიზაციასაც, ოპოზიციის სურვილსაც, რომ ყველა სიტუაციიდან ყოველთვის ქულები დაიწეროს.

– შეეცდება ოპოზიცია, რომ პოლიტიკურად ქულები დაიწეროს?

– რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია. როცა ხელისუფლება შეცდომას უშვებს, ოპოზიცია ყოველთვის შეეცდება, სათავისოდ გამოიყენოს.

– ელოდებით, რომ საპროტესტო ტალღა აგორდება?

– მართალი გითხრათ – არა. მე ახლა კადრებს ვუყურებ, ძირითადად, სულ ნაცნობი სახეებია. მე ვერ ვხედავ ისეთ გამწარებულ სახეებს, როგორიც ვიხილე 2003 წელს, 2012 წელს. ამ მასას ვერ ვხედავ. ვერ ვხედავ გამწარებულ რიგით ადამიანებს. გასაგებია, რომ გუშინდელი ულტიმატუმის შემდეგ ასე მარტივად ვეღარ დაიშლებიან. ერთსაც ვიტყვი, ეს პროცესი, ცხადია, დააზარალებს „ქართულ ოცნებას“ და ეს არჩევნებზე კარგად გამოჩნდება.

პრეზიდენტი სახალხო დამცველს შეხვდა

გუშინ, 12 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას შეხვდა.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განმარტავენ, ორბელიანების სასახლეში გამართულ შეხვედრაზე ვრცელი და ღია საუბარი შედგა მიმდინარე პროცესებთან, 5-6 ივლისის მოვლენებთან და ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

მათივე ცნობით, შეხვედრაზე, ერთი მხრივ, პრეზიდენტმა, როგორც კონსტიტუციით ადამიანის უფლებების დაცვის გარანტმა და, მეორე მხრივ, ომბუდსმენმა, როგორც ადამიანის უფლებების დამცველმა, შექმნილი დაძაბული მდგომარეობის განმუხტვისა და დაპირისპირების შემცირების საკითხი განიხილეს.

ინგა გრიგოლია: „ან დაგვიჭირეთ, ან ბოდიში მოგვიხადეთ!“

– მივმართავ პრემიერ-მინისტრს – ან დაამტკიცეთ, რომ ჩვენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ვმოქმედებთ და დაგვიჭირეთ, როგორც დამნაშავეები, თუკი შეთქმულებაში ვმონაწილეობთ, ან მოგვიხადეთ ბოდიში, ბოდიში მოგვიხადეთ მთელ ქართულ მედიას.

ამის შესახებ ჟურნალისტმა და ტელეწამყვანმა ინგა გრიგოლიამ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, მედია არა შეთქმულებისთვის, არამედ საკუთარი უფლებების დასაცავადაა შეკრებილი.

– აქ უნდა ვიდგეთ ჩვენი უფლებების დასაცავად, უნდა ვითხოვდეთ მათ პასუხისმგებლობას, ვინც ეს დაგეგმა და განახორციელა. დღეს მეგონა, მთავრობის სხდომა რომ იწყებოდა, ცოტა მაინც შეეცდებოდნენ, რომ რაღაცნაირად, ოდნავ მაინც მიეწყნარებინათ ადამიანების სულებში მღელვარება. ამის ნაცვლად გამოვიდა პრემიერ-მინისტრი და მედიას დაგვაბრალა რაღაც სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა, იმის ნაცვლად, რომ ოდნავ მაინც ჩაეწყნარებინათ მღელვარება.

მივმართავ პრემიერ-მინისტრს – ან დაამტკიცეთ, რომ ჩვენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ვმოქმედებთ და დაგვიჭირეთ, როგორც დამნაშავეები, თუკი შეთქმულებაში ვმონაწილეობთ, ან მოგვიხადეთ ბოდიში, ბოდიში მოგვიხადეთ მთელ ქართულ მედიას, რომ გამოდიხართ და ასე უაპელაციოდ გვაბრალებთ შეთქმულებაში მონაწილეობას.

შეთქმულება კი არა, ჩვენი უფლებებისთვის ვდგავართ აქ, იმიტომ ვდგავართ აქ, რომ ჩვენს გარდაცვლილ კოლეგას დავტირით და ვითხოვთ პასუხს იმ სპეცოპერაციაზე, რომელიც აქ მოუწყვეთ ქართულ მედიას, – განაცხადა გრიგოლიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს და ქუჩაში გამოვიდეს“

დავით ჭიჭინაძე: „20 ივნისს ჟურნალისტებისთვის დამიზნებით სროლა რომ შეირგეს, ამის მერე გათავხედდა და გალაღდა „ოცნება“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, რამდენად რეალურია, საპარლამენტო ოპოზიციამ, როგორც ისინი აცხადებენ, მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს, რომელსაც 76 მანდატი სჭირდება?

– აბსურდზეა საუბარია. სად აქვს ოპოზიციას 76 მანდატი?! პირიქით, ვნახეთ ოპოზიცია, გახარიას განაყოფი პარლამენტში, „ქართულ ოცნებას“ მოსამართლეების დამტკიცებაში მიეხმარა კიდეც.

რასაც ახლა ცდილობენ ე.წ. მიშელისტები ანუ დოკუმენტისთვის ხელმომწერები, თითქოს ახლა პარლამენტის შენობაში რაღაც წყდება, ეს არის აბსურდი. ამით ცდილობენ მიშელის დოკუმენტისთვის საკუთარი ხელმოწერის გამართლებას, ხალხის ღალატის გამართლებას. რეალურად რომ გაგრძელებულიყო ოპოზიციის ერთობლივი ბოიკოტი და ამ პროცესში ხელმომწერ ოპოზიციას ხინჯი არ შეეტანა, არც მსხვერპლი გვექნებოდა, არც ის უმსგავსო ამნისტია, 20 ივნისს ჟურნალისტებისთვის დამიზნებით სროლა რომ შეირგეს, ამის მერე გათავხედდა და გალაღდა „ოცნება“. ამიტომ გაბედეს ეს სადამსჯელო ოპერაცია. ამაში ლომის წილი მიშელის დოკუმენტისთვის ხელმომწერ ოპოზიციას უდევს. აქ მე არ ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას და არც მათ, რომლებიც ხელმოწერის გარეშე შევიდნენ პარლამენტში. ეს ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, საერთოდ სამარცხვინო სურათს მივიღებდით.

– რაში ხედავთ გამოსავალს?

– რადიკალურ პროტესტში, დაუღალავ პროტესტში. მთელი ოპოზიცია უნდა გამოვიდეს ქუჩაში და გააპროტესტოს ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. პარლამენტში ისევ მარტო უნდა დატოვონ „ქართული ოცნება“. პარლამენტში ყოფნამ აზრი დაკარგა. პოლიტიკა უკვე ქუჩაშია გამოსული. პროცესების ეპიცენტრი არის ქუჩა და არა პარლამენტი. ამ პოლიტიკას უკვე პარლამენტში ვეღარავინ შეაბრუნებს, ამიტომ საჭიროა ბრძოლა ქუჩაში.

– რა მოხდება, თუკი ოპოზიცია ხელმეორედ იტყვის მანდატებზე უარს?

– პირდაპირ ვთქვათ – დღეს პარლამენტში ოპოზიციის ყოფნა კანონგარეშეა, რადგან ყველა მათგანს უფლებამოსილების მოხსნის შესახებ აქვს განცხადება დაწერილი. რომ არ დაუკმაყოფილა „ოცნებამ“ ეს განცხადებები, ბევრს არაფერს ნიშნავს. გარეთ არის დღეს საბრძოლველი და ქუჩაში უნდა გამოვიდნენ. ხვალ რომ მოინდომოს „ოცნებამ“ ოპოზიციის გარეთ გამოყრა, ისედაც გამოყრის, კენჭს უყრიან და გამოყრიან. ეს იქნება დიდი სირცხვილი. ამიტომ დღეს ოპოზიციის ადგილი ქუჩაშია. ერთადერთი აზრი აქვს ქუჩის ბრძოლას. ქუჩის პოლიტიკით უნდა მივაღწიოთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმებამდე მხოლოდ ქუჩის პროტესტი მიგვიყვანს. რა, ოპოზიციამ აქამდე არ იცოდა, რომ „ქართული ოცნება“ გადამგდებია?!

რაც შეეხება ჩვენს უცხოელ პარტნიორებს, ქართველ ხალხს ბოდიში უნდა მოუხადონ, რადგან ამ ოპოზიციის პარლამენტში შეყვანით საქართველოს ინტერესები დააზიანეს. ახლა, როდესაც გვეუბნებიან რუსული საქმე კეთდებაო, ამაში ლომის წილი დასავლელ პარტნიორებს უდევთ. გამოდის, ეს ოპოზიცია რუსული ძალების გამპრავებელი გახდა მათდაუნებურად, სამწუხაროდ.

– თქვენთვის რას ნიშნავს პარლამენტში 6 მოსამართლის დამტკიცება, ეს თითქოს პროცესების იგნორირება, წაყრუებაა?

– გახსოვთ, ერთ ქართულ მულტფილმში რომ არის – „ეს პატარა მინდორ-ველი ჩემია“ – ზუსტად ამას ნიშნავს, სხვას არაფერს. კანონს გარეთ არიან და, რაც უნდათ, იმას აკეთებენ. არავისი არ ესმით არც შიგნით და არც გარეთ.

ამ მოსამართლეების დამტკიცების პროცესში, როდესაც ოპოზიციიდან დეპუტატები იქ იმყოფებიან, ეს ნიშნავს, რომ ისინი ცდილობენ, მათ ლეგიტიმაცია მიანიჭონ. ამიტომ ვამბობ, რომ მიშელის დოკუმენტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს. ყველამ უნდა გამოიწვიოს თავისი ხელმოწერა. 37 წელსაც კანონს ამოფარებულები სჩადიოდნენ სისასტიკეს.

– რამდენად შეიძლება, ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერის პოსტი დატოვოს? უკვე მის სამ შემცვლელზეა საუბარი.

– და რა მნიშვნელობა აქვს?! აზრი არ აქვს. ბიძინა ივანიშვილმა უნდა დატოვოს მმართველობა. მისი ქვეშევრდომების სახელებისა და გვარების ცვლილებას აზრი არ აქვს. საოცარია, როდესაც კელი დეგნანი, ასეთი გამოცდილი დიპლომატი, ირაკლი ღარიბაშვილს ებრძვის, იმის ნაცვლად, რომ ივანიშვილს ებრძოდეს.

„გამოჩნდა, რომ მთელი ეს ძალადობა ივანიშვილთან იყო შეთანხმებული“

დავით კირკიტაძე: „ვისაც თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა, პროტესტით არ უნდა დავიღალოთ“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 5-6 ივლისის მოვლენები მიხეილ სააკაშვილს დაუკავშირა. ის ოპოზიციის პროვოკაციასა და რევოლუციურ სცენარზე საუბრობს. უფრო მეტიც, მან რუსეთისა და ოპოზიციის საერთო მიზნებზეც კი ისაუბრა. სამაგიეროდ, ფაქტობრივად, ხაზგასმით თქვა, რომ გადადგომას არ აპირებს, რისი მოლოდინიც არსებობდა.

„რაც შეეხება ზოგადად გუშინდელ აქციას, კიდევ ერთხელ მინდა, ჩემი მოსაზრება და ჩემი შეფასება ვუთხრა ჩვენს ხალხს. ეს იყო კლასიკური ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეკლესიური და, მაშასადამე, ანტიეროვნული გზავნილები, რომელიც გუშინ ჩვენ მოვისმინეთ. გზავნილები, მაგალითად, იმის თაობაზე, რომ აგრესიული გამომსვლელები ითხოვდნენ პატრიარქის დაკავებას პოლიციის მიერ.

მე ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, რომ აღნიშნულს ვიმეორებ. ისინი ითხოვდნენ ჩვენს გადადგომას. ეს გასაგებია, ეს ნორმალურია და ეს არის მათი ოცნება, მაგრამ მე მინდა, მოსახლეობას ვუთხრა, ვინ ითხოვდა ამ ყველაფერს. ჩვენ, ზოგადად, მივესალმებით დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მედიის არსებობას ქვეყანაში და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თავისუფალი და მიუკერძოებელი მედია განვითარდეს ქვეყანაში, მიუკერძოებელი ჟურნალისტები განვითარდნენ. ჩვენ მათ ყველაფერს გავუკეთებთ, რაც საჭიროა.

მე კიდევ ერთხელ ვუდასტურებ პატივისცემას, ბევრი პროფესიონალი მუშაობს მედიაში, მაგრამ, მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ, ზედმეტი კეკლუცობა არ არის საჭირო, ვთქვათ პირდაპირ – ოპოზიციური ტელევიზიები, მთავარი, ტვ პირველი, ფორმულა, პირდაპირ იმართება სააკაშვილის მიერ და მათი მოპარული ფინანსებით. შესაბამისად, მათი დღის წესრიგი და ნაცმოძრაობისა და რევანშისტული, რადიკალური ძალის დღის წესრიგი არის აბსოლუტურად იდენტური. მათ აქვთ ერთი მიზანი, როგორმე ჩამოაგდონ ხელისუფლება და ისევ ძალადობრივი გზით მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, რაც, რა თქმა უნდა, მიუღწეველია, ამას ჩვენ არ დავუშვებთ. მათ მინდა შევახსენო, ერთადერთი გზა ხელისუფლებაში მოსვლის არის არჩევნებში მონაწილეობა. კარგად მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე არჩევნებია, აგებენ ყველა არჩევნებს. კიდევ ერთხელ მოუწევთ მათ წაგება და ჩვენ დამაჯერებლად მოვიგებთ მოახლოებულ არჩევნებს“, – განაცხადა პრემიერმა.

ამას ოპოზიციის პროტესტი და პარლამენტის სხდომათა დარბაზის რამდენიმე საათით პიკეტირება მოჰყვა. შედეგად ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის შეხლა-შემოხლასაც ჰქონდა ადგილი. ნაციონალური მოძრაობა და დანარჩენი ოპოზიციის ერთი ნაწილი ბოიკოტის რეჟიმში გადადის.

ოპოზიციის გეგმების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **დავით კირკიტაძე** საუბრობს.

– ოპოზიცია ითხოვდით პრემიერისა და შს მინისტრის უპირობო გადადგომას. გამოვიდა პრემიერი და თქვა, რომ თურმე სააკაშვილის მიერ ყოფილა ორგანიზებული. რას იტყოდით ამაზე, რას აპირებდით ოპოზიცია ამის ფონზე?

– მთავარი, რაც გავიგეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან, ის არის, რომ ის თავიდან ბოლომდე თავის ყველა ნაბიჯში შეთანხმებული იყო ბიძინა ივანიშვილთან. ამ დღეებში მოხდა შეთანხმებული ძალადობა, რაც შეთანხმებული იყო ბიძინა ივანიშვილთან. ამ ყველაფერში მხოლოდ ღარიბაშვილი და გომელაური კი არ არიან დამნაშავეები, არამედ იკვეთება ის, რომ ბიძინა ივანიშვილთან ყოფილა მთელი ეს ძალადობა შეთანხმებული. სწორედ ამიტომ არის, რომ პრემიერი დღეს ასეთი გონორით ელაპარაკება საზოგადოებას.

ახლა ჩვენი და საქართველოს ყველა მოქალაქის მთავარი ამოცანაა, ჩვენი ხმა და პროტესტი გავაგებინოთ მთავრობას, პრემიერსა და ბიძინა ივანიშვილს. მათ იმედი აქვთ, რომ დავიღლებით და საპროტესტო მუხტი განელდება. თუ ასე მოხდება და დავიღალეთ, დავმარცხდით ამ ბრძოლაში ან შევარჩინეთ ეს ძალადობა, რაც გავიდა, ამიტომ ეს იქნება საზოგადოება, ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ მედიის ან სხვა პროფესიის წარმომადგენლები, უნდა გამოვიდეთ და გავაპროტესტოთ. უნდა გამოვიდეს ყველა, ვისაც თავისუფალ ქვეყანაში უნდა ცხოვრება. არ უნდა დავიღალოთ პროტესტით და უნდა გვქონდეს საპროტესტო აქციები, სადამდეც საჭიროა.

– აღარ გაუვა პრემიერსა და მთლიანად ხელისუფლებას ის რიტორიკა, რომლითაც ისინი გველაპარაკებიან?

– ეს ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. თავისუფალი საზოგადოება, ჩვენი თავისუფლებისმოყვარე მოქალაქეები თუ მისცემენ ამის საშუალებას, გაუვათ კი არა, უარესსაც გააკეთებენ. ამიტომ არ უნდა მივცეთ ამის საშუალება და არ უნდა დავიღალოთ. ყოველდღე, მანამ, სანამ ასეთი ვითარებაა, უნდა ვიყოთ აქტიური პროტესტის რეჟიმში, სანამ მოძალადეები თავისუფლად დადიან გარეთ.

– პარლამენტში რას აპირებთ? თქვით, რომ გადადიხართ ბოიკოტის რეჟიმში და რა ფუნქცია გექნებათ პარლამენტში?

– იმავეს ვაპირებთ საქართველოს პარლამენტში, მაგრამ საქართველოს პარლამენტი არის დისფუნქციური და არალეგიტიმური. მთავარი პროტესტები ისევ უნდა გადავიდეს ქუჩაში და ქუჩის ხმა და საზოგადოების აქტიურობა იქნება გადამწყვეტი.

– ანუ ამ პერიოდში საერთოდ აღარ იქნებით პარლამენტში თუ იქნებით ხოლმე?

– ჩვენ ვიქნებით აქტიურები ყველგან და საზოგადოებაც უნდა იყოს აქტიური. ჩვენ ვიქნებით აქტიურები ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით ქუჩის აქციებზე, სადაც საზოგადოების ხმა იქნება ყველაზე მართალი და სწორი.

– ყველგან სააკაშვილს რატომ ახსენებენ და ყველაფერს მას რატომ უკავშირებენ? ეს თემა დღესაც მუშაობს?

– მათ იციან ერთი რამე, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგეა ადამიანი, რომელიც ქართველ საზოგადოებასთან ერთად შეასრულებს საბოლოო ჯამში პროდასავლური ღირებულებების განმტკიცებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ადგილი არის ნატოსა და ევროკავშირში. სააკაშვილს აქვს გამოხატული ეს პოზიცია და მას ამის გამო მას ებრძვიან.

– პრემიერმა სააკაშვილი და რუსეთიც დააკავშირა ერთმანეთთან და თქვა, რომ თითქოს რუსეთსა და ქართულ ოპოზიციას ერთი ინტერესი ამოძრავებთ.

– რუსეთთან არის დაკავშირებული ყველა ის ძალა, რომლებსაც ვხედავთ ამ მოვლენების დროს მოძალადის როლში. ვხედავთ, ვინ არის ღარიბაშვილის საქციელის გამმართლებელი. ესენი არიან ვასაძე და დუგინი. ესენი არიან აშკარად გამოხატული პრორუსული ძალები. ამიტომ ეს ტყუილი აღარ გაუვათ.

ირაკლი კობახიძე: „რადიკალური ანტიქრისტიანული დაჯგუფებების ლიდერი სააკაშვილი პროცესებს კიევიდან მართავს“

– რადიკალური ანტიქრისტიანული დაჯგუფებების ლიდერი არის მიხეილ სააკაშვილი, რომელიც კიევიდან მართავს პროცესებს, მას აქვს მედიასაშუალებები, მას აქვს ფული და ზუსტად ამ ორი რესურსის წყალობით ახერხებს ამ დაჯგუფებების ლიდერობას.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

მისი თქმით, სააკაშვილს ამის განსაკუთრებული ნიჭი კი არ აქვს, მას აქვს მედია და ფული, რითაც ახერხებს ვითარების კონტროლს ამ დაჯგუფებების შიგნით, თუმცა, მას არავითარი რესურსი არ აქვს, რომ არიოს ეს ქვეყანა.

– რადიკალურ ანტიქრისტიანულ დაჯგუფებებს საქართველოში ხელმძღვანელობს სწორედ მიხეილ სააკაშვილი. ეს არის რეალობა. მას განსაკუთრებული ნიჭი კი არ აქვს ამისთვის, მას აქვს მედია და მას აქვს ფული, რითაც ახერხებს ვითარების კონტროლს ამ დაჯგუფებების შიგნით. ძალიან მარტივადაა ყველაფერი, თუმცა მას არავითარი რესურსი არ აქვს, რომ არიოს ეს ქვეყანა.

თქვენ გახსოვთ, რაც კი არეულობა იყო ჩვენს ქვეყანაში გასული წლების განმავლობაში, ყველაფრის უკან იდგა ეს ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური ძალა. ჩვენ მათ ვერ მივცემთ იმის საშუალებას, რომ არიონ ეს ქვეყანა. ისინი მიიღებენ პასუხს არჩევნებზე, ეს რადიკალური ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქრისტიანული ძალები, დაჯგუფებები მიიღებენ პასუხს ქართველი საზოგადოებისგან არჩევნებზე და ეს იქნება „ქართული ოცნების“ მორიგი გამარჯვება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„მედიასთან ომი ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოიგო“

ბეჟან ნათელაშვილი: „მოძალადეების წამქეზებელი თვითონ ხელისუფლება იყო“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.

– პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომლის გადადგომასაც საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს, განაცხადა, რომ მოძალადეები სამაგალითოდ დაისჯებიან. რას იტყვით?

– რომელ დასჯაზეა საუბარი?! რამდენიმე კაცი მოძალადეებიდან უკვე დააკავეს. ერთორს კიდევ ჩასვამენ. ეს იქნება ფორმალური. ხალხის დასანახად დააკავებენ და მალევე გაათავისუფლებენ. მოძალადეების წამქეზებელი თვითონ ხელისუფლება იყო და ვის დასჯის? ჟურნალისტებს დაერივნენ. ღარიბაშვილი ჟურნალისტებს „იმისტებად“ და „ამისტებად“ ყოფს და გაშმაგებით ებრძვის თავისუფალ მედიას. მედიასთან ომი ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოიგო. მედია უნდა იყოს კრიტიკული. ივანიშვილი და ღარიბაშვილი მხილებასა და კრიტიკას ვერ იტანენ. 11 ივლისს დიდ შეკრებაზე, რომელიც მოჰყვა „ტვ პირველის“ ოპერატორ ლექსო ლაშქარავას ძალადობრივად სიკვდილს, იმყოფებოდნენ ის ჟურნალისტებიც, რომლებსაც ხელისუფლება აკონტროლებს. ყოველივე ეს აჩვენებს, რომ ამ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია.

– ჟურნალისტებს ყველა მხრიდან უტევენ.

– ეს მომდინარეობს ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლებისგან. ეს პირები პირდაპირ აღვივებენ სამოქალაქო შუღლს. დარწმუნებული ვარ, სამოქალაქო შუღლის გაღვივებისა და სხვა დანაშაულებისათვის ივანიშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები დაისჯებიან.

– პრემიერის თქმით, ყველას აქვს შეკრების უფლება, მაგრამ კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებიდან გასვლის შემთხვევაში ადამიანები დაისჯებიან.

– კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებიდან დიდი ხანია გასულია ეს ხელისუფლება, უფრო სწორად, ივანიშვილ-ღარიბაშვილის ბანდა. ჩვენ ეს ბანდა უნდა გავანეიტრალოთ. სხვა შემთხვევაში ჩვენს შვილებს არ ექნებათ მომავალი.

– 5 და 6 ივლისის მოვლენებზე რას იტყვით? აღნიშნეთ, რომ მოძალადეებს აქეზებდა ხელისუფლება.

– იმ დღეს დაგეგმილი იყო ლგბტ-მარში და მისი კონტრაქცია. რეალურად, სექსუალური უმცირესობების უფლებები იქ არაფერ შუაში იყო. ერთი აქციაც და მეორეც ორგანიზებული იყო ხელისუფლების მიერ. ეს იყო სპეცოპერაცია, რომელსაც ემსხვერპლნენ და რომელშიც დაზარალდნენ მედიის წარმომადგენლები. მედია არის ის ინსტრუმენტი, რომელიც ამხელს ივანიშვილისა და მისი გარემოცვის უკანონობასა და გაუმაძღრობას. ჟურნალისტები ხელს უშლიან მათ საქართველოს შემდგომ დაყაჩაღებაში.

– 11 ივლისს გამართულ პროტესტს ირაკლი ღარიბაშვილმა უწოდა ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაეკლესიო.

– იმდენად უზნეოა ეს ბანდა, რომ მუდმივად ეკლესიასა და საპატრიარქოს ეფარება, იყენებს ეკლესიის ჯერ კიდევ შემორჩენილ ავტორიტეტს. მე და ჩემი პარტიელები ერთმანეთისაგან ვყოფთ სარწმუნოებასა და საპატრიარქოს. სარწმუნოება არის ის, რაც ურყევია. 12 ივლისი რელიგიური დღესასწაული, პეტრეპავლობაა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ეს დღე მივულოცო თქვენს გაზეთსა და მის მრავალრიცხოვან, მრავალფეროვან მკითხველს.

– იქმნება ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, რომ უფრო მწიფდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

– ცხადია. აბა, როგორ უნდა იფიქრო ამ მდგომარეობაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა და 43%-იან ბარიერზე? ისეთ სპეცოპერაციებს გვიტარებს ივანიშვილ-ღარიბაშვილის ბანდა ზონდერების გამოყენებით, რომ 43%-ის კი არა, 63%-ის დაწერა არ გაუჭირდებათ. იქნება იმაზე უარესი, რაც გაგვიკეთეს 31 ოქტომბერს. ამიტომ, ვინც თავს ოპოზიციას უწოდებს, ადეკვატურად უნდა იმოქმედოს.

– როგორ?

– ოპოზიციამ, რომელმაც შეწყვიტა ბოიკოტი და შევიდა პარლამენტში, უნდა დატოვოს პარლამენტი და აღადგინოს ბოიკოტის რეჟიმი. ამათ თავზე დაგვახიეს კონსტიტუცია. ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ ყველაფერზე მიდის. განსაკუთრებით დიდი განუკითხაობაა მაშინ, როცა ჰორიზონტზეა ღარიბაშვილი. ხალხიც უნდა გამოფხიზლდეს. შვილებზე მაინც ხომ უნდა იფიქრონ ადამიანებმა!

– ფიქრობთ, რომ მოქალაქეები უნდა გააქტიურდნენ?

– ჩვენ ყველას სხვა არაფერი დაგვრჩენია. ზაფხული საქართველოში ნაკლებად აქტიური დროა, თუმცა ხშირად სწორედ ზაფხულში მიიღება ანტისახალხო გადაწყვეტილებები. უნდა დავივიწყოთ, რომ ცხელა, რომ არ არის აქტიური პერიოდი. ოპოზიციაც უნდა მოეგოს გონს და საზოგადოებაც. ივანიშვილ-ღარიბაშვილმა ყველას გამოგვიცხადეს ომი. ეჭვი არ მეპარება, რომ პირადად ივანიშვილი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, გაასწრებს აქედან. ღარიბაშვილი და სხვები დარჩებიან და პასუხისმგებლობას ვერ აიცილებენ.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ჟურნალისტები აქციაში ჩანერგილმა ხალხმა ცემა“

„პროვოცირება მოახდინა აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დიმიტრი, თქვენ 5-6 ივლისის მოვლენებში მონაწილეობდით. მომხდარს როგორ აფასებთ? 53 ჟურნალისტი, ოპერატორი და ფოტოგრაფია ნაცემი. 5 ივლისს დაზარალებული ოპერატორი გარდაიცვალა. იმ აქციის მიზანი ჟურნალისტზე ძალადობა იყო? რატომ იძალადეს ჟურნალისტებზე?

– ამ კონკრეტულ კითხვას პასუხი რომ გავცეთ, მთლიანად მოვლენა უნდა შევაფასოთ თავისი ეტიმოლოგიით, რასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ, რომ გარკვეული გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოში კონკრეტული ინსტრუმენტების შექმნას გულისხმობდა, მიზანმიმართულად წლების განმავლობაში ქვეყანას მარწუხებში აქცევდნენ.

– რას გულისხმობთ?

– ცდილობდნენ ისეთი ტიპის სახიფათო ექსპერიმენტების დანერგვას, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის საფარველქვეშ სექსუალური უმცირესობებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას უზრუნველყოფდა.

– კი მაგრამ, ჟურნალისტები რა შუაში იყვნენ, ლგბტ აღლუმის ჩასაშლელად ხომ მიხვედით?

– მანდამდე მივდივარ.

– მეც რომ ვყოფილიყავი, ვინმეს უნდა ვეცემე?

– ჟურნალისტების მიმართ გამოხატული პროვოკაცია პირადად მე დავგმე და ვთქვი, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც იძალადებდა ჟურნალისტებზე, პროვოკატორად ჩაითვლებოდა.

– ზოგადად, ძალადობა მიუღებელია, მით უმეტეს, ჟურნალისტებზე, მაგრამ აქ საინტერესოა, ჟურნალისტებს რატომ დაერივნენ.

– ძალადობა მიუღებელია, განსაკუთრებით, ჟურნალისტების მიმართ. ჟურნალისტები, რეალურად, მოვლენების მონიტორინგს ახდენენ. როდესაც კამერით შეიარაღებული პირი დგას და შენ მას ერჩი, ამით აქციის ინტერესს კი არ გამოხატავ, არამედ, პირიქით, მაქსიმალურად ცდილობ, სწორედ ისეთი ძალების წისქვილზე დაასხა წყალი, რომლებსაც აწყობთ არეულობა, გვამი, მსხვერპლი და დაზარალებული ჟურნალისტი.

ოპერატორის გარდაცვალების გამო მინდა, ჭირისუფალს მივუსამძიმრო. როდესაც გარდაცვლილი ოპერატორის ბედზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უნდა დაისვას გენერალური კითხვა: ვის აწყობდა ჟურნალისტის, მით უმეტეს აწ გარდაცვლილი ოპერატორის მიმართ ისეთი ტიპის აგრესია, რომელმაც ის საავადმყოფომდე მიიყვანა. მისი გარდაცვალების გარემოებებზე შს სამინისტრო ვალდებულია, დადოს კომპლექსური, კომისიური ექსპერტიზის დასკვნა, ზუსტად რა იყო მისი გარდაცვალების მიზეზი, რადგან არსებობს სხვადასხვა ვერსია. ახლა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

შესასწავლი და გასახმაურებელია გამოხატული აგრესიის ფაქტები და იმ პირების ვინაობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ისეთი ტიპის ძალადობებში, რა დროსაც ჟურნალისტებს სხვადასხვა სახის დაზიანებები მიადგათ.

– ეჭვი გაქვთ, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეების აქციაში მოძალადე ჯგუფი შეგნებულად იყო შეშვებული?

– მე მაქვს კადრები. არიან კამერამომარჯვებული პირები (არ ვიცი, ისინი ჟურნალისტები არიან თუ არა. იქნებ სპეციალურად არიან კამერებით, რომ ჟურნალისტური იმუნიტეტის გარეგნული ფორმა შექმნან), რომლებიც ხელსაც იქნევენ, ფეხსაც და კონკრეტულ ზიანსაც აყენებენ კონკრეტულ მოქალაქეს. ინტერვიუს შემდეგ შემიძლია, ეს კადრები მოგაწოდოთ და ამაში დარწმუნდებით. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, აქციის შემადგენლობაში პირთა წრე ყოფილიყო ჩანერგილი.

ეს იყო დიდი პროვოკაცია, რომელიც მომართული გახლდათ გეიპრაიდის საწინააღმდეგო აქციის დისკრედიტაციისკენ. შეიძლება, თვითონ ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ ასეთი ტიპის პროვოკაციაში.

– როგორ? 1-2 ჟურნალისტი რომ დაზიანებულიყო, სხვა საკითხია, მაგრამ 53 ჟურნალისტი, ოპერატორი და ფოტოგრაფია ნაცემი. გამაოგნებელი და წარმოუდგენელი რამ მოხდა.

– სიტუაციას ობიექტურად შეხედეთ, ლიბერასტებს ნუ დაემსგავსებით.

– სიტუაციას სწორედ რომ ობიექტურად ვუყურებ, რადგან ლიბერასტები იქ არ იყვნენ.

– პროვოცირება მოახდინა აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა, როდესაც ღიად განაცხადა, რომ ნებისმიერ ფასად გეიპრაიდი უნდა გამართულიყო. ამან გამოიწვია საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის ქუჩებში გამოსვლა. ამ გამოსული ადამიანების რიგებში ვიღაცას პროვოკატორები რომ ჩაენერგა, რომლებიც კონკრეტულ ჟურნალისტებს სცემდნენ, ამაში წარმოუდგენელი რა არის?

– პრაიდის წარმომადგენლებმა სულ სხვაგან ჩაატარეს აქცია. როგორც ვიცი, პრაიდის წარმომადგენლები იქ არ გამოჩენილან, სადაც კონტრაქცია ტარდებოდა და ჯავრი ჟურნალისტებზე იყარეს?

– დაანოსებული იყო კონკრეტული დღე, კონკრეტული საათი, ლგბტ-ს წარმომადგენლები მეტრო „რუსთაველთან“ უნდა შეკრებილიყვნენ და რუსთაველზე უნდა გაევლოთ ე.წ. სააღლუმო მარშით, რომელსაც ღირსების მარში დაარქვეს.

– კი მაგრამ, ე.წ. ღირსების მარში ხომ ჩაიშალა.

– არ ჩაშლილა. მერე გვიან ჩაიშალა. 4 საათზე თქვეს, დღეს ჩვენს აქციას აღარ ჩავატარებთო. მთელი დღის განმავლობაში იყო კელი დეგნანის ანონსი, რომ აუცილებლად შედგებოდა პრაიდი და მას პოლიცია ჩაატარებინებდა. ამიტომ გამოვიდა ბევრი ხალხი და ყველა ადგილი დაიკავა – პუშკინის სკვერი, რუსთაველის მოედანი, ფილარმონია, უნივერსიტეტის ბაღი, მრგვალი ბაღი და ა.შ. უამრავი ხალხი გამოვიდა. ასევე რაიონებიდან ჩამოვიდნენ, მათ შორის, სასულიერო პირები. როდესაც საბოლოოდ დავინახეთ, რომ არავითარი პრაიდის მსგავსის ჩატარება აღარ იგეგმებოდა, პარაკლისი აღევლინა და ხალხი დაიშალა.

– კადრები არსებობს, აწ უკვე გარდაცვლილ ოპერატორს ოფისში რომ სცემენ. რატომ სცემენ ოპერატორს?

– მე რატომ მეკითხებით, რატომ სცემენ? არ ვიცი. ვინ არიან, საერთოდ წარმოდგენა არ მაქვს. იქნებ ჩანერგილი ხალხია, იქნებ ნაცმოძრაობის აქტივია. გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს კონკრეტული პირი, რომელიც თავისუფალი ზონის წარმომადგენელი იყო და სამოქალაქო პირებზე ძალადობდა ამ აქციის მონაწილეთა სახელით. გვარიც იყო დასახელებული და სახელიც. ფოტოც აქვს გადაღებული გიგა ბოკერიასთან ერთად.

ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გვეცოდინება, რამ გამოიწვია ოპერატორის გარდაცვალება. იქნებ მოკლეს. ვისაც უნდოდა გვამი, მას უნდოდა 2-3 გვამი. არის ძალა, რომელიც გვამებით საზრდოობს.

– რას გულისხმობთ?

– არ არის გამორიცხული, რომ იყო რაღაც პროვოკაცია, რომელსაც კონკრეტული მიზნები და ამოცანები ჰქონდა. ამიტომ ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ყველაფერი უნდა გაირკვეს. ძალადობის ფაქტია მომხდარი, ახალგაზრდა ადამიანია გარდაცვლილი და მისი გარდაცვალების ყველა გარემოება უნდა დადგინდეს. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ საბოლოოდ გვეცოდინება, რამ გამოიწვია მისი გარდაცვალება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებაა.

– აქციის ორგანიზატორებს პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ?

– ყველა გარემოება ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა იყოს. უნდა ვიცოდეთ, ვისი დავალებით მოქმედებდნენ, რა კონკრეტული განზრახვით მოქმედებდნენ, რა იყო მათი მიზანი, მითითებები ვინ მისცა ძალადობასთან დაკავშირებით.

– ერთი მხრივ, ლგბტ ჯგუფებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ და თავიანთი აზრი გამოხატონ, მეორე მხრივ, მათი მიულებლობაა საზოგადოებაში. გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს?

– გამოსავალს ვხედავ ძალიან კონკრეტულ მოქმედებათა სერიაში. უნდა შეიქმნას საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც აიკრძალება მამათმავლობის ანუ ბილწი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ისევე, როგორც ეს მოხდა უნგრეთში. მოგეხსენებათ, უნგრეთი ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოა, რომელმაც დაშალა გეიპრაიდი და ჩატარების საშუალება არ მისცა.

საქართველოში უნდა გაკეთდეს ისე, როგორც არის ზოგიერთ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში. უნდა მოხდეს პროპაგანდის აკრძალვა ბავშვთა უფლებების დაცვიდან გამომდინარე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. გეიპროპაგანდა ყველაზე მავნე ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე და ეს კანონით უნდა აიკრძალოს. მანამდე ქვეყანაში მუდმივად იქნება ასეთი დაძაბულობის კერები.

– ეს ძალიან ცუდ სიტუაციას შექმნის.

– ნახეთ, როგორი სიტუაციაა – დღეს რევანშისტი მაქსიმალურად ცდილობს, საზოგადოებას დაეყრდნოს და განახორციელოს თავისი რევანშისტული აქტი იმ ძალამ, რომელმაც წლების განმავლობაში იძალადა საზოგადოებაზე, იძალადა კანონზე. მსახვრალმა ხელმა ასიათასობით ადამიანი ქვეყნიდან განდევნა, ათეულობით ათასი ადამიანი დატოვა ქონების გარეშე, წლების განმავლობაში ასეულობით ადამიანს საპატიმროში ამოხადა სული. ეს ადამიანები, ე.წ. პოლიტიკოსები, დღეს უკან ბრუნდებიან. ამას ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს. ნახავთ, იმ ყველაფერს, რაც ახლა ხდება, ექნება გაგრძელება.

– მომხდარის გამო ოპოზიცია პრემიერისა და შს მინისტრის გადადგომას მოითხოვს. არ უნდა გადადგნენ?

– ყველა ფაქტობრივ გარემოებაზე პასუხის გაუცემლად ისინი არ უნდა გადადგნენ.

– პოლიცია არ იმყოფებოდა საკმარისი რაოდენობითო. იქ საკმარისი რაოდენობით პოლიცია იყო?

– ახლა ქვეყანაში მძიმე ვითარებაა. საზოგადოება ორ ნაწილადაა გახლეჩილი. მათ შორის ძალიან ღრმა უფსკრულია. სტაბილიზაციის ბერკეტი ხელისუფლების ხელშია. ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველყოფას. თუ სტაბილურობის დაჭერას ვერ შეძლებს, მხარეები ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდებიან.

ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, ყველა ფაქტობრივი გარემოება იქნეს გამოძიებული და გაანალიზებული, დაკავშირებული აქციის მსვლელობის პერიოდში არსებულ პროვოკაციულ შემთხვევებთან, რომლებმაც გამოიწვია ჟურნალისტების მასობრივი ცემა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზეც უნდა ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა, სწორი პასუხი, მათ შორის, პასუხისმგებელ პირებთან ერთად. ვგულისხმობ იმ პირებს, რომლებმაც კონკრეტულ შემთხვევებში დანაშაული აღასრულეს. ეს არის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება.

„ლექსო ლაშქარავას სიკვდილის მიზეზი, შეიძლება, ნარკოტიკებით ზედოზირება იყოს“

შსს-მ ოპერატორის მარშრუტი გაასაჯაროვა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ მამუკა ჭელიძის განცხადებით, ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორის ალექსანდრე ლაშქარავას ცხედარზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გვამიდან აღებული ნიმუშებში აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები.

ამის შესახებ მან გუშინ, 12 ივლისს, შსს-ში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორის ალექსანდრე ლაშქარავას საქმესთან დაკავშირებით შსს-ს თანამშრომლებმა 200-ზე მეტი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს, გამოკითხულია 110 პირი, დათვალიერებულია 65 ვიდეოსათვალთვალო კამერა. გარდაცვალების უშუალო მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელშიც ჩართულია ოჯახის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტი. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გვამიდან აღებული ნიმუშებში აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები „მორფინი“, „კოდეინი“, „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“, „პენტინი“ და „მონოაცეტილმორფინი“.

ექსპერტიზის მიხედვით, გარდაცვალების მიზეზი, შესაძლოა, გამხდარიყო აღნიშნული საშუალებებით ზედოზირება. ეს დასკვნა არის შუალედური, – განაცხადა ჭელიძემ.

მანვე ლაშქარავას გარდაცვალების წინა დღეს მისი გადაადგილების მარშრუტის ამსახველი ვიდეოჩანაწერები გაასაჯაროვა.

– ალექსანდრე ლაშქარავა 15:28 წუთზე ფიქსირდება მისი საცხოვრებელი სახლის მისამართზე იოსელიანის ქუჩაზე, საიდანაც მეგობართან ერთად მიემართება ბახტრიონის ქუჩის მიმართულებით. აღნიშნულის შემდეგ მეგობართან ერთად ბახტრიონის ქუჩაზე 15:31 საათზე ერთ-ერთ აფთიაქში ყიდულობს ფსიქოტროპულ ნივთიერებებს და ერთჯერადი გამოყენების შპრიცებს. აღნიშნული დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

შემდეგ მეგობართან ერთად მიემართება ფონიჭალის დასახლებაში და 16:31 წუთზე ფიქსირდება. ფონიჭალაში ორჯერ ჩადის. პირველად გარკვეულ თანხას ტოვებს ნარკოტიკების შეძენის მიზნით და მეგობართან ერთად ბრუნდება ორთაჭალისკენ, სადაც ფიქსირდება ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე, სადაც ყიდულობს გარკვეულ პროდუქტებს. აღნიშნულის შემდეგ კვლავ მეგობართან ერთად ბრუნდება ფონიჭალის დასახლებაში.

ჩადიან ცურტაველის ქუჩაზე 19:41 წუთზე, სადაც, მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, შეიძენენ ნარკოტიკულ საშუალებებს. აღნიშნული მისამართიდან ბრუნდებიან ორთაჭალაში, გორგასლის შესახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ერთ-ერთ ტყის მასივში მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს.

ალექსანდრე ლაშქარავა მიღებული ნარკოტიკული საშუალებების გამო ხდება ცუდად და მისი მეგობარი ცდილობს დახმარებას. გარდა პირველი მცდელობისა, როდესაც ის თვითონ ცდილობს, მოასულიეროს მეგობარი, ვერ ახერხებს ამას და მიმართავს იქვე არსებულ ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებას, რაც ასახულია ვიდეომასალაზე, სადაც მისი მეგობარი ითხოვს პრეპარატ ნარკანს, რათა მისი მეგობარი გამოიყვანოს ნარკოტიკების ზედოზირებისგან, რაც ასევე ასახულია და ვიდეოკადრებში ისმის ხმა.

ის ვერ ახერხებს სამედიცინო დაწესებულებაში ლაშქარავას მიყვანას და თავად ბრუნდება მასთან, სადაც ცდილობს, დაეხმაროს ზედოზირების გამო მის მეგობარს, რასაც ახერხებს, როგორც ჩვენებებით იკვეთება და მოჰყავს გონებაზე. შემდეგ ერთად, მოპედის საშუალებით, 23:16 საათზე ბრუნდებიან „დედაენის ბაღში“, სადაც მისი მეგობარი კიდევ ერთხელ ხდება ცუდად.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ალექსანდრე ლაშქარავა ბრუნდება საცხოვრებელ სახლში – 00:10 წუთზე ჩანს გარე კამერებში, როგორ ადის საცხოვრებელ სახლში.

აღნიშნულის შემდეგ, დაახლოებით დილის 6:00 საათზე, ოჯახის წევრები აკეთებენ შეტყობინებას სასწრაფოში. სასწრაფოს მისვლის დროს, სამწუხაროდ, ალექსანდრე ლაშქარავა გარდაცვლილი ხვდებათ, რის შემდეგაც იძახებენ პოლიციას, – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

ტვ „პირველის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმისთვის დავით კუტალაძე დააკავეს

შსს-მ „სირცხვილიას“ ოფისში ტელეკომპანია „პირველის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის ფაქტზე კიდევ 1 პირი დააკავა.

როგორც უწყებაში განმარტავენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე 1992 წელს დაბადებული დავით კუტალია დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს ბრალდებულმა დ.კ.-მ ორგანიზაცია „სირცხვილიას“ ოფისში ტელეკომპანია ტელეკომპანია „პირველის“ გადამღებ ჯგუფს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2, 156-ის მე-2 ნაწილის „ა“ და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

5 ივლისს მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში სამართალდამცველებმა სულ 20 პირი დააკავეს, მათ შორის – 5 ტელეკომპანია „პირველის“ გადამღებ ჯგუფზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

„დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

დააკავეს გარემოსდაცვითი დეპარტამენტის თანამშრომელი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი სპეციალისტი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, პირადი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტში, მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ტყის ფონდის ნაყოფიერი მიწის ფენის მოხსნის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა 15.000 ლარი, საიდანაც პირველ ეტაპზე გამოართვა 10.000 ლარი, როდესაც მოხდა მისი დაკავება.

უწყების ცნობით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

ფოთში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

სამეგრელოს პოლიციამ ფოთში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია 1 ერთი პირი. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული ბ.კ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 1999 წელს დაბადებულ ა.პ.-ს ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ნინო ლომჯარია: „იურიდიული კომიტეტი ბუტაფორიულადაც კი აღარ ცდილობდა დემოკრატიული პროცესების შექმნას“

სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას განცხადებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესი ფარსი იყო, იურიდიული კომიტეტი ბუტაფორიულადაც კი აღარ ცდილობდა დემოკრატიული პროცესების შექმნას.

როგორც მან პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 6 კანდიდატის დამტკიცებაზე საუბრისას აღნიშნა, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა.

– როგორც იცით, სახალხო დამცველი არ იღებდა ამ ფარსში მონაწილეობას. უკვე დამტკიცდა ისიც, რომ იურიდიული კომიტეტი ბუტაფორიულადაც კი აღარ ცდილობდა დემოკრატიული პროცესების შექმნას. ჩვენ დავინახეთ, რომ იმ მოსამართლეობის კანდიდატებს, რომლებსაც ყველაზე მაღალი შეფასებები ჰქონდათ და ყველაზე კვალიფიციურები იყვნენ, ამ კანდიდატებში გამოირჩეოდნენ, იურიდიულმა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა.

ვფიქრობ, დამტკიცდა ის, რასაც ვამბობდი, არანაირი აზრი არ ჰქონდა ამ პროცესში მონაწილეობას. მაინც გასაკვირი იყო, რომ კომიტეტი ფასადურაც არ ეცადა, შეეფუთა ის არადემოკრატიული პროცესი, რასაც ადგილი ჰქონდა, – აღნიშნავს ლომჯარია.

პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 9 კანდიდატიდან 6 დაამტკიცა.

რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე ქეთევან მესხიშვილის (4 მომხრე, 2 წინააღმდეგი), ეკა ზარნაძის (5 მომხრე , 6 წინააღმდეგი) და გიორგი შავლიაშვილის (3 მომხრე 7 წინააღმდეგი) კანდიდატურები ჩაგდეს. პარლამენტმა მხარი დაუჭირა გოჩა აბუსერიძის, გიორგი გოგიაშვილის, ლევან თევზაძის, რევაზ ნადარაიას, ბიძინა სტურუას და ლაშა ქოჩიაშვილის კანდიდატურებს.

პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 9 კანდიდატთან გასაუბრების პროცესი 6 ივლისს დაიწყო და 10 ივლისს დასრულდა.

25 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს ასარჩევად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ცხრა კანდიდატი: გოჩა აბუსერიძე, გიორგი გოგიაშვილი, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი წარუდგინა. მათთან გასაუბრების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილს და სახალხო დამცველის აპარატს.

ვახტანგ გომელაური საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

ვახტანგ გომელაურმა ელჩებთან შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრა 1, 3, 5 და 6 ივლისს თბილისში განვითარებულ მოვლენებზე. კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრმა სტუმრებს გააცნო „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში სამინისტროს მიერ მოქალაქეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისა და მათი უსაფრთხოების დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები.

ვახტანგ გომელაურმა ასევე ისაუბრა 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეთა აქციის დროს, მასმედიის სხვადასხვა წარმომადგენლების – ოპერატორებისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და მათ მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე. შინაგან საქმეთა მინისტრმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგები და ამ ეტაპზე არსებული ვითარება. მან აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად დაისჯება ყველა ის პირი, ვისი დანაშაულებრივი ქმედებაც გამოიკვეთება გამოძიების ფარგლებში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აგრეთვე ვრცლად ისაუბრა 11 ივლისს ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე პოლიციელების მიერ განხორციელებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ. როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, გარდაცვალების უშუალო მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელშიც ჩართულია დამოუკიდებელი ექსპერტიც.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, სამინისტრო განაგრძობს აქტიურ საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებებს და უწყება პერიოდულად მიაწვდის საზოგადოებასა და დიპლომატიურ კორპუსს განახლებულ ინფორმაციას.

აზარტული და მომგებიანი თამაშების ბიზნესზე კონტროლი მკაცრდება

აზარტული და მომგებიანი თამაშების ბიზნესზე კონტროლი მკაცრდება. ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

როგორც ინფორმაციაშია ნათქვამი, სათამაშო ბიზნესზე სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, სექტორში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდას შეუწყობს ხელს, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებათა პროექტი, რომელიც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე მიხეილ დუნდუამ პარლამენტში ცვლილებებზე ისაუბრა და მოსალოდნელ დადებით შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.

– პრაქტიკამ აჩვენა, რომ არსებობს ნაკლოვანებები, რაც სხვადასხვა მიმართულებით გამოიკვეთა. მაგალითად, რასაც ჰქვია „თამაშის მიწოდება“ ქვეყნის გარეთ, აქამდე შეუძლებელი იყო და არ ხდებოდა სერვერებზე წვდომა, რომ გაკონტროლებულიყო, რამდენად კეთილსინდისიერად მიმდინარეობს პროცესი. აღნიშნული ცვლილებით ეს ხარვეზი გასწორდება და ყველა სფერო, რომლებსაც ეხება სათამაშო ბიზნესში მომსახურების გაწევა, თამაშის მიწოდება, ხვდება კონტროლის სფეროში. შესაბამისად, თამაშის მიმწოდებელი გადაიხდის სანებართვო მოსაკრებელს. ასევე კონკრეტდება, რა არის არსებითი მომსახურება და პროდუქცია სათამაშო ბიზნესში, – აღნიშნა დუნდუამ.

ცვლილებით ფართოვდება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მომსახურების გაწევის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვასა და კონტროლის მექანიზმების ეფექტურ შემუშავებასა და აღსრულებას.

კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტს.

მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ კანონპროექტს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს.

ევროკავშირმა რუსეთს სანქციები გაუხანგრძლივა

ევროკავშირმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები 6 თვით, 2022 წლის 31 იანვრამდე გაუხანგრძლივა.

ამის შესახებ ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება მოჰყვა მინსკის შეთანხმების შესრულების მდგომარეობის შეფასებას ევროპული საბჭოს 2021 წლის 24-25 ივნისის სხდომაზე. ევროკავშირის ლიდერებმა რუსეთს მოუწოდეს, სრულად აიღოს პასუხისმგებლობა მინსკის შეთანხმებების სრულად შესრულების უზრუნველყოფაში, რაც ევროკავშირის პოზიციის შეცვლის მთავარი პირობაა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ შეთანხმებებს რუსეთი სრულად არ ასრულებს, ევროკავშირის ლიდერებმა ერთხმად გადაწყვიტეს, გაახანგრძლივონ ეკონომიკური სანქციები ქვეყნის წინააღმდეგ“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები პირველად 2014 წლის 31 ივლისს დააწესეს უკრაინაში სიტუაციის მადესტაბილიზებელი ქმედებების საპასუხოდ. სანქციები ზღუდავს ევროკავშირის პირველადი და მეორადი კაპიტალის ბაზრებზე შესვლას გარკვეული რუსული ბანკებისა და კომპანიებისთვის და კრძალავს ფინანსური დახმარების ფორმებსა და შუამავლობას რუსეთის ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, ასევე კრძალავს თავდაცვასთან დაკავშირებული მასალების პირდაპირ ან არაპირდაპირ იმპორტს, ექსპორტს ან გადაცემას. სანქციები კიდევ უფრო ზღუდავს რუსეთის წვდომას გარკვეულ სენსიტიურ ტექნოლოგიებზე, რომელთა გამოყენება შესაძლებელია რუსეთის ენერგეტიკულ სექტორში. ეკონომიკური სანქციების გარდა, ევროკავშირმა რუსეთის მიერ ყირიმისა და ქალაქ სევასტოპოლის უკანონო ანექსიისა და უკრაინაში დესტაბილიზაციის განზრახ გამოწვევის საპასუხოდ სხვა სახის ზომებიც მიიღო. ეს მოიცავს: დიპლომატიურ ზომებს, ინდივიდუალურ შემზღუდავ ზომებს (აქტივების გაყინვა და მოგზაურობის შეზღუდვები) და ყირიმთან და სევასტოპოლთან ეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკურ შეზღუდვებს.

ჰაიტის პოლიციამ პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზატორი დააკავა

ჰაიტის პოლიციის ინფორმაციით, დააკავეს ექიმი, რომელიც პრეზიდენტ ჟოვენელ მოიზის მკვლელობის ორგანიზებაში მთავარი ეჭვმიტანილია. 63 წლის ემანუელ სენონი ჰაიტიში ივნისში კერძო თვითმფრინავით „პოლიტიკური მოტივების“ გამო ჩაფრინდა.

– ეს არის ადამიანი, რომელიც პოლიტიკური მიზნებით ჰაიტიში კერძო თვითმფრინავით ჩამოვიდა, – განაცხადა ჰაიტის პოლიციის უფროსმა ლეონ ჩარლზმა.

მისი თქმით, თავდაპირველი გეგმა იყო პრეზიდენტ მოიზის დაპატიმრება, მაგრამ „შემდეგ მისია შეიცვალა“. სამართალდამცავებს ჯერჯერობით უფრო დეტალური ინფორმაცია არ გაუჟღერებიათ.

შეგახსენებთ, ჰაიტის პრეზიდენტი ჟოვენელ მოიზი საკუთარ სახლში სამი დღის წინ მოკლეს. ჰაიტის პოლიციის ინფორმაციით, პრეზიდენტის მკვლელობა განახორციელა შეიარაღებულმა ჯგუფმა, რომელიც 26 კოლუმბიელისა და 2 ჰაიტელი ამერიკელისგან შედგებოდა. ჰაიტის მთავრობამ შეერთებულ შტატებსა და გაეროს თხოვნით მიმართა, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის დასაცავად დახმარების აღმოჩენის მიზნით ჯარები გაეგზავნათ. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად ჰაიტიში აშშ-ის უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამსახურების წარმომადგენლების დელეგაცია ჩავიდა. დელეგაციის წევრები ჰაიტის 3 პოლიტიკოსს შეხვდებიან, რომლებიც ქვეყნის ლეგიტიმურ ლიდერობაზე პრეტენზიას აცხადებენ.

კუბაში ფართომასშტაბიანი ანტისამთავრობო დემონსტრაციები იმართება

კუბის ქუჩებში მოქალაქეებმა საპროტესტო აქციები გამართეს და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ნელი ტემპის გამო მთავრობის მიმართ პროტესტი გამოხატეს. დედაქალაქ ჰავანის ცენტრში ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ქალაქში დიდი რაოდენობით სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეხლა-შემოხლაც მოხდა და რამდენიმე ადამიანია დაკავებული. კუბის პრეზიდენტმა მიგელ დიაზ-კანელმა, რომელიც ასევე კომუნისტურ პარტიას ხელმძღვანელობს, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში შეერთებული შტატები დაადანაშაულა. მან მხარდამჭერებს მოუწოდა, პროვოკაციებს წინააღმდეგობა გაუწიონ.

ლელა რაზიკაშვილი: „ეს უკვე მეორე ინტერნეტ „ვაჟაობაა“

ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი 14 ივლისს ვაჟაობის აღნიშვნისთვის ინტერნეტით ქართველებს გაერთიანებას ურჩევს:

– 14 ივლისს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 160 წელი სრულდება!

არ ვიკამათოთ დაბადების თარიღებზე, რამდენიმე ვერსიაა, გეთანხმებით, მაგრამ ეს ყველაზე პოპულარულია. საერთოდ არ ვიკამათოთ, ერთი დღით დავივიწყოთ ის, რაც გვყოფს და დავკავდეთ იმით, რაც გვაერთიანებს და გვახარებს, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას მაინც! ვაჟა გვაერთიანებს! ეს ვნახეთ ბევრჯერ, ?ოდა, გავერთიანდეთ ახლაც, ყველანაირი აზრის, ხასიათის, პროფესიის? და ახირების ადამიანი და ვისაც გვეზიმება, ჩვენ თვითონ აღვნიშნოთ ეს თარიღი! აღვნიშნოთ მარტივად, სასარგებლოდ და გულიანად! აღვნიშნოთ დიდმა და პატარამ, საქართველოში და მთელ მსოფლიოში, ყველას შეგვიძლია!

მოვფინოთ აქაურობა ვაჟას სიტყვით, ლექსით, სიმღერით, ნახატით, აზრით, ისე, როგორც ჩვენს გულს უნდა!

თუ მაინცდამაინც კამათი და ერთმანეთის ჩაქოლვა გვინდა, ესეც ვაჟას სიტყვებით იმაზე ბევრად უკეთ გამოგვივა, ვიდრე ჩვენ მოვიფიქრებდით! მოკლედ, ვაჟა ყველას გაგვწვდება, თან ხალის-ხალისით, ისე, რომ დაზიანების ნაცვლად ერთმანეთს ბევრ რამეს ვასწავლით! მაშ ასე, ვემზადებით 14 ივლისისთვის და აქაურობას გავანათებთ ვაჟათი!

ეს უკვე მეორე ინტერნეტ „ვაჟაობაა“. გასულ წელს ვცადეთ და ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი გვერდიდან ასე ჩანდა.

მივმართავ მედიას!

პატივი სცენ მათ წინაპარ კოლეგას და ერთი დღე ვაჟათი დაკავდნენ! ვაჟას დღე მედიაში ცოტა გამოანათებს და გაახალისებს იმ ნეგატივს, ობიექტურსა თუ სუბიექტურს, რაც დღეს ჩვენს თავზე ტრიალებს! აბა, ვნახოთ, როგორ შევძლებთ და, თუ შევძელით, ერთი ძალიან შინაარსიანი და ლამაზი დღე გვექნება ყველას!

მიშა ქირია: „თქვენ ქვეყანას გააერთიანებთ?“

ოპერის მომღერალი მიშა ქირია მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ძირეული ცვლილებებია საჭირო:

...– ძალიან ვწუხვარ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებ ოჯახს, ყველა მის მეგობარსა და სრულიად საქართველოს. დიდი ტრაგედია დატრიალდა. განსაკუთრებით მტკივნეული იყო მისი გადასვენების ნახვა.

პოლიცია: როცა ქვეყანაში ერთ აქციაზე 50 ჟურნალისტს სცემენ და პოლიცია ვერ ან არ ახერხებს ამ ძალადობის აღმოფხვრას.

სამღვდელოება: როცა ფაშისტებს სამღვდელოების დიდი ნაწილი აქეზებს და მოუწოდებს ძალადობისკენ. როცა 25 მილიონით შეიძლება უამრავი ახალგაზრდის სწავლის დაფინანსება უცხოეთში.

განათლება: როცა ჩამოქცეულია განათლების სისტემა.

პოლიტიკოსი: როცა პარლამენტარის ხელფასი 3500 ლარია და ფეშენებელურ სახლებს იშენებენ. როცა უბრალო ცრუ დაპირებებს იძლევიან და ამაზე შემდეგ პასუხს არავინ სთხოვს. როცა თითქმის ყველა იპარავს და ხალხი თვალს ხუჭავს ამაზე.

ხალხი: როცა ადამიანი ფულს გთხოვს, მისცემ და დათქმულ დროს ფულს კი არა, უბრალო მესიჯსაც კი არ მოგწერს, რომ ვერ ახერხებს მოცემას, 6 შემთხვევა მქონდა.

ტელევიზია: როცა ტელევიზიიდან მუდამ ნეგატივი გვესმის, ვიღაცა მოკლეს, ვიღაცა გააუპატიურეს, ვიღაცამ თავი მოიკლა. როცა გადაცემებში დაჰყავთ ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებაში სილიკონის გარდა არაფერი გაუკეთებიათ. როცა გადაცემები მიჰყავთ არა ჟურნალისტებს, არამედ სხვა დანარჩენი სფეროს წარმომადგენლებს, რომლებმაც საკუთარი პროფესიით დასაქმება ვერ შეძლეს და იძულებულები არიან, აკეთონ ის, რაც მათი საქმე არ არის....

კულტურა: როცა შენს ქვეყანაში 2010 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთი სპექტაკლი გაქვს ნამღერი და პანდემიის პირობებშიც კი ევროპის საუკეთესო სცენებზე წელიწადში 50-60 სპექტაკლს მღერი.

და უამრავი სხვა რამ...

როცა ასე ფიქრობს და მოქმედებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, მაშინ ვიღებთ იმას, რაც მივიღეთ. ყველა მიმართულებით კატასტროფული მდგომარეობაა – ერში, ბერში, მთავრობაში, ოპოზიციაში, ჟურნალისტიკაში, კულტურაში, მედიცინაში, ზოგადად ხალხში. სანამ ამას თვალს არ გავუსწორებთ და არ დავიწყებთ ამ ყველაფრის აღმოფხვრას, მუდამ ასეთი სიტუაცია იქნება.

ვფიქრობ, უნდა აეკრძალოთ ხელისუფლებაში მყოფ პირებს უცხოეთში მკურნალობა და ძალიან მალე შექმნიან ღირსეულ ჯანდაცვის სისტემას.

უნდა აეკრძალოთ მათ ოჯახის წევრებს უცხოეთში სწავლა და ძალიან მალე შექმნიან ღირსეულ განათლების სისტემას.

პ.ს. ოპოზიციაზე კარგად ვერ ვთქვი, სავალალო მდგომარეობაში ხართ, 50 პოლიტიკოსი ვერ გაერთიანდით და თქვენ ქვეყანას გააერთიანებთ?...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

იტალიამ ევროპას უემბლიდან გადმოხედა

ინგლისი-იტალია 1:1 (2:33)

ლონდონი. უემბლი

1:0 შოუ (2), 1:1 ბონუჩი (67)

ინგლისი: პიკფორდი, ტრიპიერი (საკა 71), უოკერი (სანჩო 120), სტოუნზი, შოუ, მაგუაირი, ფილიპსი, რაისი (ჰენდერსონი 74) (რეშფორდი 120), მაუნტი (გრილიში 99), სტერლინგი, კეინი

იტალია: დონარუმა, დი ლორენცო, ბონუჩი, კიელინი, ემერსონი (ფლორენცი 118), ბარელა (კრისტანტე 55), ჟორჟინიო, ვერატი (ლოკატელი 96), კიეზა (ბერნარდესკი 83), ინსინიე (ბელოტი 91), იმობილე (ბერარდი 55)

53 წლის შემდეგ იტალია ისევ ევროპის ჩემპიონია, ინგლისი კი ნანატრ ტიტულს მინიმუმ 4 წელი კიდევ დაელოდება.

უემბლიზე გამართულ ფინალს 67.173 მაყურებელი დაესწრო. ინგლისელთა მარცხი მძიმედ გადასატანი იქნება გულშემატკივრებისთვის, მაგრამ უნდა შეეგუონ. იტალიის ნაკრებს კი უკვე 34 მატჩია, არ წაუგია (27 მოგება, 7 ფრე), გაიტანა 87 გოლი და გაუშვა მხოლოდ 11. „აძურის“ ისტორიაში ეს ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერიაა, ამასთან, იტალიელებს მსოფლიო რეკორდამდე ერთადერთი თამაში რჩებათ. ესპანეთს 35 მატჩი 2007-09 წლებში არ წაუგია, ბრაზილიას კი იგივე შედეგი 1993-96 წლებში ჰქონდა.

არადა, უკვე მატჩის მეორე წუთზე ინგლისი ლუკ შოუს გოლით დაწინაურდა, თუმცა გარეთ საუთგეიტმა ზედმეტად ფრთხილი ტაქტიკა აირჩია. გატანილი გოლის შემდეგ ინგლისი რამდენიმე წუთი ინერციით უტევდა, ხოლო 30-ე წუთიდან უკვე სრულად საკუთარ საჯარიმოსთან იდგა და შეტევებისთვის საერთოდ არ ეცალა.

იტალია გამუდმებით უტევდა, რათა თამაში გადაერჩინა და ეს მონდომება დაუფასდა. ერთ-ერთი კუთხურისას ინგლისელებმა საჯარიმოში უყურადღებოდ ითამაშეს. ჯერ მარკო ვერატი გაეპარათ, რომლის დარტყმული მეკარემ აიღო და ბურთი ძელსაც მოხვდა, მერე უკვე ლეონარდო ბონუჩიმ დასწრო ყველას და გაათანაბრა.

აპენინელები ამის შემდეგად უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ვერც ძირითად და ვერც დამატებით დროში გამარჯვების სასწორის პინა თავისკენ ვერ გადახარეს.

პენალტების სერიისთვის საუთგეითმა მოედანზე რეშფორდი და სანჩო შეუშვა. ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა, მაგრამ იტალიელთათვის -11 მეტრიდან დარტყმა ორივე მათგანმა გააცუდა. ინგლისელთა მეკარე ლომივით იბრძოდა და 5-დან 2 პენალტი მოიგერია, მაგრამ ვიზავიმ, ჯანლუიჯი დონარუმამ აჯობა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჯანლუიჯი დონარუმა

უეფამ საუკეთესო ბონუჩი დაასახელა, მაგრამ ჩვენ იტალიელთა მეკარე გამოვარჩიეთ. მანაც 2 პენალტი მოიგერია (ერთი რეშეფორმა ძელს გაარტყა) და ორივე ბოლოს – მეოთხე და მეხუთე დარტყმები, რითიც გუნდს გამარჯვება მოუტანა.

გარეთ საუთგეიტი:

– ბიჭებმა ამ მატჩში და ტურნირის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს. ჩვენ გვყავს გუნდი, რომელმაც ერს დიდი ემოციები მოუტანა. განადგურებული ვართ ასეთი დასასრულით, ახლა სიტყვების პოვნა ძნელია, მაგრამ ყველაფერი გავიღეთ. პენალტებზე ვვარჯიშობდით. ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო, მე შევარჩიე ისინი. პენალტები გადის ან არ გადის, მოედანზე პენალტების საუკეთესო შემსრულებლები გვყავდა.

კეინმა დაამტკიცა, რომ ლიდერია. ის ჩვენთვის დიდი ფეხბურთელია. ცვლილებები ბოლოს იმიტომ გავაკეთე, რომ პენალტებისთვის ეს დაგეგმილი გვქონდა. ვარჯიშებზე კარგად ვასრულებდით, მაგრამ არ იმუშავა. ვიმეორებ, ფეხბურთელებს პენალტების შესრულება მე ვთხოვე. მათ შეუძლიათ, „უემბლი“ თავაწეულებმა დატოვონ, თუმცა ეს ძალიან ძნელია, რადგან ახლოს ვიყავით ტრიუმფთან. ეს იშვიათი შანსი იყო, მაგრამ იტალიამაც არაჩვეულებრივად ითამაშა. მათ ჩვენზე უკეთ ეჭირათ ბურთი, დაცვაში კარგები იყვნენ და ყოველთვის გვაჩერებდნენ.

რაც შეეხება მომავალს: მსოფლიოს ჩემპიონატამდე დიდი დროა, ასე მგონია, რომ მუნდიალს მილიონი მილი გვაშორებს. ვიცი, რომ ამ გუნდს შეუძლია, პროგრესი გააგრძელოს. ახლა ცოტა დრო მჭირდება, რომ მომავალზე დავფიქრდე.

რობერტო მანჩინი:

– ძალიან კარგად ვითამაშეთ. სწრაფი გოლი გოლი გავუშვით და თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ შემდეგ ვდომინირებდით. ბიჭები შეუდარებლები იყვნენ! ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა ყველა იტალიელისთვის და ჩვენი გუნდის ქომაგებისთვის მთელ მსოფლიოში. ბედნიერები ვართ!

იყო მომენტი, როცა ამ ტრიუმფზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო, მაგრამ საოცარი ბიჭები მყავს და სიტყვები არ მყოფნის, რომ ეს გუნდი დავახასიათო. ამ გრძელ გზაზე ადვილი თამაში არ გვქონია, ფინალიც ძალიან რთული იყო და განსაკუთრებით – გაშვებული გოლის შემდეგ, მაგრამ შემდეგ დომინანტები ჩვენ ვიყავით.

პენალტებში იღბალიც საჭიროა და ინგლისელების გამო ვწუხვარ. გუნდი ძალიან გაიზარდა და ვფიქრობ, კიდევ შეუძლია მომატება. ეს ყველაფერი ძალიან დამღლელი იყო, მაგრამ იტალიელებს ძალიან გვიხარია.

22 წლის დონარუმა სრულიად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ჯგუფურ ეტაპზე საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია, ნახევარფინალსა და ფინალში კი პენალტების სერიაში წარმატებასა და ჩემპიონობაში დიდი როლი შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო ფეხბურთელად მეკარე ბოლოს 1992 წელს, დანიელი პეტერ შმეიხელი დაასახელეს, როცა მისმა ნაკრებმა ევროპირველობაზე სენსაციურად გაიმარჯვა.

საუკეთესო ბომბარდირი კრიშტიანუ რონალდუ გახდა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე გატანილი გოლებით ფრანგ მიშელ პლატინის აჯობა. კონკრეტულად ამ ტურნირზე პორტუგალიელს, ისევე, როგორც ჩეხ პატრიკ შიკს, გოლების თანაბარი რაოდენობა (5-5) ჰქონდა, მაგრამ რონალდუს ანგარიშზე საგოლე პასიც იყო და ერთი შეხვედრით ნაკლებიც გამართა.

ევრო 2020-ის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად პედრი დასახელდა. ესპანეთის ნაკრების 18 წლის ნახევარმცველმა თავისი გუნდის ყველა (6) შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ნიკა ამაშუკელს ოლიმპიადაზე მსაჯობა სურს

ქართველი მსაჯი, ნიკა ამაშუკელი, ახალ ეტაპზე გადავიდა – „მსოფლიო რაგბიმ“ ჩვენებური 7-კაცა სერიებზე სამსაჯოდ მიიწვია.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველი რეფერი ამ დონის ტურნირზე იმსაჯებს. ამაშუკელი 4 ეტაპზეა მივლენილი – დუბაი, სამხრეთ აფრიკა, ლონდონი და პარიზი. აქამდე ნიკას 7-კაცა რაგბიში მხოლოდ შიდა ტურნირებზე უმსაჯია, ახალ გამოწვევას კი მოტივირებული ხვდება.

ნიკა ამაშუკელი:

– სრულიად ახალ ეტაპზე გადავდივარ და ამ საინტერესო გამოწვევას სიხარულით ვიღებ. „მსოფლიო რაგბიმ“ დააბრუნა ადრინდელი პრაქტიკა, რომლის თანახმად, ტოპმსაჯები 7-კაცას გზასაც გადაიოდნენ. ეს 15-კაცასგან განსხვავებული სპორტია, ბევრად უფრო მაღალი ტემპითა და სხვა დატვირთვებით. ჩემთვის პრიორიტეტული 15-კაცა რაგბია, რის შესახებ „მსოფლიო რაგბის“ სამსაჯო კორპუსის მენეჯერ ჟოელ ჟუშსაც ვუთხარი, თუმცა მას სურს, რომ ნახოს, როგორ მოვერგები ახალ გამოწვევებს და ეს დანიშვნა ჩემს 15-კაცა რაგბიში მოღვაწეობას ხელს არ შეუშლის.

7-კაცა რაგბიში თამაშის მიმდინარეობა განსხვავებულია, განსხვავებულად გაიცემა სანქციები და საჭიროა, უმტკივნეულოდ მოახდინო ტრანზაქცია 15-კაცა რაგბიდან. მას განსხვავებული ფიზიკური მომზადება სჭირდება, რათა მოერგო 7-კაცა რაგბისთვის საჭირო კრიტერიუმებს და ეს კიდევ ერთი გამოწვევაა. ვეცდები, სათანადოდ ვუპასუხო ამ უპრეცედენტო დანიშვნას და ღირსეულად წარვადგინო ჩვენი ქვეყანა. რადგან 7-კაცა რაგბი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ნაწილია, ამაშუკელი იმედოვნებს, რომ მსოფლიო სერიებზე წარმატებული მსაჯობის შემდეგ მას ოთხწლეულის უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებაზეც მიიწვევენ.

– მსოფლიო სერიებში დეკემბრიდან ჩავერთვები. დუბაისა და სამხრეთ აფრიკის შემდეგ, გაზაფხულზე, ლონდონისა და პარიზის ეტაპებზე ვიმსაჯებ. ტურნირები მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, ცნობილ სტადიონებზე იმართება. გიწევს ბევრი მოგზაურობა, რაც დამატებითი სტრესია. მიუხედავად ყველაფრისა, მუდამ უნდა იყო კარგ ხასიათზე და იმ სამსაჯო ჯგუფის სასიამოვნო წევრი, რომელთანაც მოგიწევს მუშაობა.

რაგბის ქომაგებმა კარგად იციან, რამხელა მასშტაბის ტურნირებია მსოფლიო რაგბის სერიები. 7-კაცა რაგბი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ნაწილია, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება გუნდურ სათამაშო სახეობებში და არის შანსი, რომ მომავალში იქაც მიმიწვიონ, რაც უდიდესი ბედნიერება იქნება.

7-კაცას მსოფლიო რაგბის სერიებზე დანიშვნამდე ნიკა ამაშუკელმა ივნისში – 20-წლამდელთა ექვსი ერის ორი თამაში, ხოლო 3 ივლისს კარდიფში უელსისა და კანადის მატჩი იმსაჯა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ტიერ 1-ის გუნდის შეხვედრას ქართველი და ზოგადად ტიერ 2 ქვეყნის მსაჯი მოემსახურა. სამწუხაროდ, კოვიდპანდემიამ 10 ივლისს რუმინეთისა და შოტლანდიის ჯახის მსაჯობა არ დაანება:

– სამწუხაროა, რომ მე-2 ტესტი ჩამეშალა და ტიერ 1-ის გუნდებთან მსაჯობის მხოლოდ ერთი კეპი შემრჩა. უელსმა მეტოქეს იოლად მოუგო, მაგრამ პირადად მოდუნების საშუალება წამითაც არ მქონდა. „მსოფლიო რაგბი“ ყურადღებით გაკვირდება, გადაღების ხარისხი ძალიან მაღალია და არ უნდა გამოგრჩეს არც ერთი სამსაჯო

დეტალი. სასიხარულოა, რომ თამაშის შემდეგ ჩემი გადაწყვეტილებების სიზუსტე 97% იყო, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია. მსოფლიო რაგბიდან მოგვწერეს, რომ ეს იყო ის, რაც მათ სურთ საერთაშორისო, ტოპმსაჯებისგან.

რაც შეეხება გარემოს, „პრინციფალითი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონია. ის უელსელების აუღებელი ციხე-სიმაგრეა. ისეთი გარემო იყო, რომ მქონდა შეგრძნება, სადღაც დრაკონი ჰყავდათ დამწყვდეული და მისი სუნთქვა ისმოდა. ამ სტადიონზე გამარჯვება ნებისმიერი სტუმარი გუნდისგან უდიდეს მენტალურ მომზადებას საჭიროებს.

შედეგები

11 ივლისი

ფეხბურთი

ევჩო ჯიჯი. ფინალი

იტალია-ინგლისი 1:1 (3:2პ)

მვედეთი. აღსვენსჯა

მიალბი-ნორჩიოპინგი 0:1

ჰამარბი-დეგერფორსი 5:1

ელფსბორგი-იორებრო 2:1

ესტერსტუნდი-გიოტებორგი 2:3

ნოხვეგია. ეიტსეჰია

ვალერენგა-ლილესტრიომი 2:2

მიოლდე-ოდ გრელანდი 5:0

ჩოგბურთი

ეიმბლდონი

ფინალი-კაცები

ჯოკოვიჩი-ბერეტინი 6:7,6:4, 6:4,6:3

უეფა ევროპის ჩემპიონატზე გუნდების რაოდენობას გაზრდის

უეფა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდას გეგმავს. ასეთი რამ ერთხელ უკვე მოხდა – ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გუნდების რაოდენობა 16-დან 24-მდე ევრო 2016-ზე გაიზარდა. უეფაში უკვე 32-გუნდიან ფორმატზე დაფიქრდნენ. ახალი ფორმატით ჩემპიონატი 2028 წელს გაიმართება.

ევროპული მედიის ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ საკვალიფიკაციო პროცესი საერთოდ გაუქმდეს, რადგან 8 გუნდის დამატებას ძირეული ცვლილებები უნდა მოჰყვეს.

ამ ეტაპზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი 10 ჯგუფში იმართება. იმ შემთხვევაში, როცა მონაწილეების ნახევარზე მეტი ფინალურ ეტაპზე გადის, ასეთ ტურნირს ფასი ეკარგება.

უეფა განიხილავს ევროპის წინასაკვალიფიკაციო ტურნირს, სადაც უფრო სუსტი ნაკრებები გაიცხრილებიან. ასეთი პრაქტიკა მიღებულია აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. არის ვერსია, რომ უეფამ, შესაძლოა, საამისოდ ერთა ლიგა გამოიყენოს და მას საკვალიფიკაციო ეტაპის ფუნქცია დააკისროს.

გუნდების გაზრდის კიდევ ერთი მიზეზი არის ფორმატი – 32 გუნდი 8 ოთხგუნდიანი ჯგუფში გადანაწილდება და ფლეი ოფშიც 16 ნაკრები გავა. უეფა ამით ფიფას ბაძავს.

ევრო 2028-ის მასპინძლობა წლევანდელ ჩემპიონ იტალიას სურს. ევრო 2028-ის მასპინძლობა რუსეთსა და თურქეთსაც აქვთ დაგეგმილი.

თუ უეფა ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, საქართველოს ნაკრების შანსები გაიზრდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ერთადერთხელ იყო ახლოს ევროპის ჩემპიონატზე გასვლასთან, თუმცა ევრო 2020-ის ფლეი ოფის ფინალი თბილისში ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრებთან 0:1 დათმო.

ჯილაური ევროტურნირების ისტორიაში შევიდა

საქართველოს ნაკრებისა და ბათუმის დინამოს ფეხბურთელი ჯამბულ ჯიღაური ისტორიული ფაქტის ავტორი გახდა.

კონფერენსლიგაზე სან-მარინოს ტრე პენესა და ბათუმის დინამოს (0:4) მატჩის მე-18 წუთზე ჯიღაურმა გაიტანა გოლი და ამით გახდა ისტორიაში პირველი ფეხბურთელი, რომელმაც უეფას სამივე ტურნირებზე გაიტანა. ჯიღაურმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის დინამოში ყოფნის (2016-17) დროს სომხურ ალაშკერტს გაუტანა, ევროპალიგაზე საჩხერის ჩიხურაში (2013-14) თამაშის პერიოდში და ჩრდილოეთ ირლანდიის ვადუცს, ბოლოს კი კონფერენციის ლიგაზე ბათუმის დინამოს (2021-22) დაეხმარა გამარჯვებაში.

ჯამბულ ჯიღაური:

– კარიერაში პირადი წარმატება ყველა ფეხბურთელისთვის სასიხარულოა და ეს ამბავი მეც ძალიან გამიხარდა, თუმცა არც ვიცოდი, ასეთი მიღწევა რომ მქონდა. პირველი რეაქცია ჩვეულებრივი სიხარული იყო, რადგან მეგონა, რომ ამით ქართველ ფეხბურთელებში გამომარჩიეს, მაგრამ მერე გავიგე, რომ ზოგადად მთელ კონტინენტზე ვარ პირველი, ვინც ეს შეძლო. მალე გამოჩნდება ფეხბურთელი, რომელიც იმავეს შეძლებს და სამივე ტურნირზე მეტ გოლსაც გაიტანს, მაგრამ ისტორიაში შესვლა ყველასთვის გამორჩეული მოვლენაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერი, 1991 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

თემურ ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დალი ჩიკვაიძე-ზაქარიაშვილის მონატრება

ჩვენო დალი-დაკო, ხუთი წელი გისრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ, რაც გაუსაძლისია მთელი ოჯახისთვის, განსაკუთრებით უშენობით ტანჯული შენი მეუღლე ომარისათვის. ამბობენ, დრო მკურნალიაო. ვერანაირი დრო ვერ კურნავს იმ თავზარდაცემას, რომელიც შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ მოგვაყენა. ჩვენო დაკო, უშენობას ვერანაირად ვერ ვეგუებით, სულ შენს მოლოდინში ვართ. კარი რომ გაიღება, შენ გვგონიხარ. იშვიათია ისეთი კეთილშობილი და ზნეობრივი თვისებების ქალი, როგორიც შენ იყავი, ჩემო დაკო, თბილი, წყნარი, დინჯი, თანამშრომლებზე, მეგობრებსა და ოჯახზე გადაყოლილი, სტუმართმოყვარე, შესანიშნავი დიასახლისი.

ყველას გვენატრება შენი ღიმილი, გვაკლიხარ, გვიმძიმს უშენობა. ჩემო დაკო, შენი მოღიმარი სურათი ყველა ოთახში გვიცინის. შენს საწოლთან გვიდევს შენი მობილური ტელეფონი, კაბა, რომელშიც სული დალიე.

დავდივართ შენს საფლავზე ყვავილებით, სანთლითა და საკმევლით. სანამ ცოცხალი ვიქნები, არ მოგაკლდება მიცვალებულისათვის განკუთვნილი ყველა რიტუალი. ვეფერებით შენს მოღიმარ სურათს და ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო დაკო.

შენი მოულოდნელი წასვლით დამწუხრებული
შენი დიდი ოჯახი და ტანჯული მეუღლე ომარი

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 2. რძის პროდუქტი; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. საცხენოსნო შეჯიბრება; 5. რეზინის სპორტული ფეხსაცმელი; 6. უდაბნო ჩილეში; 9. ქართველი მკლავჭიდელი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. დუქნების, სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. პოეტური ქმნილება; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 18. კავკასიაში გავრცელებული კლდის თხა; 20. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 23. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 24. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 25. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 26. მაღალყელიანი რეზინის ფეხსაცმელი.

თარაზულად: 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯით; 13. სქელი ქაღალდი; 15. ალ.ყაზბეგის მოთხრობა; 17. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 19. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 21. ფინური აბანო; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. მაღალი კლასის სასადილო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სულორი; 2. დიორი; 3. ტვისტი; 4. ჯილღაო; 6. პალიტრა; 9. სევრი; 11. ტაიფუნი; 15. სუბმარინა; 16. კულუხი; 17. კელასური; 19. ემბლემა; 21. ნებიერი; 22. ბედეგი.

თარაზულად: 5. წუწურაქი; 7. ათანელი; 8. კლიჩკო; 10. ნეფრიტი; 12. აიეტი; 13. აბატი; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. ლუგელა; 23. დეკანი; 24. ბახი; 25. ტეხასი; 26. გენი; 27. ფრაქცია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყაჭი; 2. ჩხუტი; 3. ჩხოუში; 5. აქცია; 6. ტრიგლიტი; 8. ბუნდესტაგი; 10. ოტიატრი; 12. ტანდემი; 14. ოკრიბა; 15. ჰაშიში; 16. ოკაპი.

თარაზულად: 1. ყარაჩი; 4. წალკოტი; 7. აგუერო; 9. შაქარი; 11. ონაგატა; 12. ტრავიატა; 13. გაბენი; 17. საკურა; 18. რაჭა; 19. ხმელნიცკი; 20. უილიამსი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1429

ევრო — 3.7240

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3529

100 რუსული რუბლი — 4.2057

ამინდის პროგნოზი 13 ივლისისათვის

გრილიში: „პენალტის დარტყმა მინდოდა“

ინგლისის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ჯეკ გრილიშმა იტალიასთან ფინალში მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მას თერთმეტმეტრიანის დარტყმა სურდა, მაგრამ საუთგეიტმა სხვაგვარად გადაწყვიტა. გრილიშმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მას რამდენიმე გულშემატკივარმა სოციალურ ქსელში მშიშარა უწოდა:

– საუთგეიტს ვუთხარი, რომ პენალტის დარტყმა მინდოდა, მაგრამ მან სხვაგვარად გადაწყვიტა. ვფიქრობ, გავიტანდი, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მესი ბარსელონაში დარჩება



დიდი აღბათობით, ლეო მესი ბარსელონაში დარჩება. თუ ესპანურ გამოცემებს დავეყრდნობით, მესი კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

როგორც უკვე ვწერდით, ბარსელონას ძალიან დიდი სახელფასო ჭერი აქვს, რაც ფეარ პლეის წესების დარღვევაა და ლა ლიგამ განაცხადა, რომ ფეხბურთელების დარეგისტრირების უფლებას არ მისცემდა. მათ შორის იყო მესიც.

თუმცა, როგორც ირკვევა, ბარსას პრეზიდენტმა ხოან ლაპორტამ და მესის მამა-აგენტმა ხორხე მესიმ ლა ლიგასთან შეთანხმებას მიაღწიეს და „ბლაუგრანასთვის“ არგენტინელი ფეხბურთელის დარეგისტრირება პრობლემას აღარ წარმოადგენს.

როგორც ესპანელები წერენ, კატალონიურმა კლუბმა ლა ლიგის მმართველ ორგანოს სახელფასო საკითხებთან დაკავშირებით გარანტიები წარუდგინა, რის შემდეგაც ვითარება შეიცვალა.

მესი „კამპ ნოუს“ დატოვებას არ განიხილავდა და კლუბთან კონტრაქტის დეტალების შეთანხმების შემდეგ ყველაფერი ოფიციალურად დადასტურდება. „ლა პულგა“ ბარსასთან მოლაპარაკებებს ბრაზილიაში გამართული კოპა ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყებს.

შეგახსენებთ, რომ უცხოური გამოცემები მესის პარი სენ-ჟერმენსა და მანჩესტერ სიტის უკავშირებდნენ.

ნოვაკ ჯოკოვიჩი დიდ სლემზე მიდის

სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა უიმბლდონის ფინალში იტალიელი მატეო ბერეტინი 6:7, 6:4, 6:3, 6:3 დაამარცხა და დიდი სლემის მე-20 ტურნირი მოიგო. ნოლე ამ მიღწევით შვეიცარიელ როჯერ ფედერერსა და ესპანელ რაფაელ ნადალს გაუთანაბრდა.

ჯოკოვიჩი პირველი ჩოგბურთელი გახდა, რომელსაც დიდი სლემის თითოეული ტურნირი მინიმუმ 2-ჯერ აქვს მოგებული.

კონკრეტულად უიმბლდონზე კი ჯოკოვიჩმა მეექვსედ იმარჯვა. ამ მხრივ სერბი მხოლოდ ფედერერსა (8) და ამერიკელ პიტ სამპრასს (7) ჩამორჩება. ნოლემ უიმბლდონი ზედიზედ მესამედ მოიგო, რაც აქამდე იმავე ფედერერს, სამპრასსა და შვედ ბიორნ ბორგს მოუხერხებიათ.

ჯამში, ჯოკოვიჩმა 85-ე ტიტული მოიპოვა და ამ მხრივ კაცთა ჩოგბურთში მე-5 ადგილი უკავია ჯიმი კონორსის (109), ფედერერის (103), ივან ლენდლისა (94) და ნადალის (88) შემდეგ.

ჯოკოვიჩი ყველასთვის სანუკვარ კალენდარულ დიდ სლემზე მიდის, რადგანაც მას უიმბლდონამდე წლეულს ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობებიც აქვს მოგებული. ბოლო ჩოგბურთელი, რომელმაც ერთ წელიწადში ოთხივე დიდი სლემი მოიგო, ავსტრალიელი როდ ლეივერი იყო. ეს 1969 წელს მოხდა.

ნოლეს შანსი აქვს, სუპერსლემზეც წავიდეს – წინ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებიც არის...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

13 ივლისისათვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სიძე სიდედრს ეკითხება:

– ჭადრაკის თამაში იცით?

– ეეჰ, ჭადრაკის თამაში რომ მცოდნოდა, დედოფალს ცხენს კი არ გავატანდი!

●●●

ნაცნობი სომეხს ეკითხება:

– არამ, ყოველთვის წყვილი რაოდენობის ყვავილებს რატომ ყიდულობ?

– სულ უბრალოდ, გამყიდველს ექვს ყვავილს სთხოვ, ის თანაგრძნობით შემოგხედავს, ფასს გიკლებს. მშვენიერია, მერე სამ ცალს საყვარელს ვჩუქნი, სამსაც – ცოლს...

●●●

ქუჩაში კაცი ქალს ეკითხება:

– დღეს ვინმეს გითხრათ, რომ შესანიშნავად გამოიყურებით?

– არა, – კეკლუცად უპასუხა ქალმა.

– მაშინ იქნებ ხვალ გითხრათ ვინმემ.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, განმარტოებაზე რას იტყვი?

– მე ვცდილობ, მაგრამ შენ ყოველთვის მპოულობ...

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– თუ გსმენიათ, რომ სექსი სიცოცხლეს ახანგრძლივებს?

– დიახ, მსმენია და მერე?

– მიშველეთ, ვკვდები!

●●●

ორი ნაცნობი ამინდის პროგნოზს უსმენს. დიქტორი აცხადებს:

– დღეს მოსალოდნელია ხანგრძლივი კოკისპირული წვიმა და სეტყვა, ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი...

– რა შესანიშნავი ამინდია, – ამბობს ერთი.

– შენ რა... ეს ხომ ნამდვილი სტიქიური უბედურებაა! – ეუბნება მეორე.

– ჩემი სიდედრია სოკოს მოსაგროვებლად წასული...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვახტანგ მაჭავარიანი პარლამენტის წინ კლასიკური მუსიკის კონცერტების ჩატარების იდეით გამოდის

დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი რუსთაველზე პარლამენტის წინ კლასიკური მუსიკის კონცერტების ჩატარებას გვთავაზობს:

– ევროპის ქალაქებში, პანდემიის პირობებში, ზაფხულის ხანაში, ქალაქების მთავარ მოედნებზე იმართება კლასიკური მუსიკის კონცერტები გამოჩენილი სოლისტების და ორკესტრების მონაწილეობით.

განა ყველაფერ დანარჩენს არ აჯობებს რუსთაველზე, პარლამენტის წინ კლასიკური მუსიკის კონცერტების ჩატარება?

გიორგი ოვაშვილი ფილმის პრემიერას აღარ გამართავს

რეჟისორი გიორგი ოვაშვილი 13 ივლისს თავისი ახალი ფილმის „გამოღვიძებამ მე ვარ“ პრემიერას გეგმავდა, თუმცა, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, მან პრემიერა გადადო:

– ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო თავს ვალდებულად ვთვლი, გავაუქმო 13 ივლისს დაგეგმილი ჩემი ფილმის პრემიერა.

კინომსახიობთა თეატრი „კუგელმასს“ არ ითამაშებს

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი კოკო როინიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლ „კუგელმას“ არ ითამაშებს:

– თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს „ტვ პირველის“ ოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების გამო და გმობს ყოველგვარ ძალადობას, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების შელახვისკენაა მიმართული!

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დანიშნული სპექტაკლი „კუგელმას!“ მოხსნილია. აღნიშნული სპექტაკლი გაიმართება 15 ივლისს, – ნათქვამია თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

„სუხიშვილებმა“ კონცერტები გააუქმეს

ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ ღია სცენაზე „თაკარა“ დაგეგმილი კონცერტები გააუქმეს. ამის მიზეზი ტვ პირველის ოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებაა:

– მწუხარებას გამოვთქვამთ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებთ ოჯახს, ტვ პირველსა და ახლობლებს. ძალადობისა და ძალადობის მოწოდებისათვის ყველა დამნაშავემ უმკაცრესად უნდა აგოს პასუხი!

მოვლენების გამო კონცერტები ნაფეტვრებში ღია სცენა „თაკარაზე“ მოხსნილია! განახლებული განრიგი გამოქვეყნდება მოგვიანებით!

აჩიკო ნიჟარაძე: „აუცილებლად უნდა დასრულდეს ძალადობა ამ ქვეყანაში!“



მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე აცხადებს, რომ ამ ქვეყანაში ძალადობა უნდა დასრულდეს:

– აუცილებლად უნდა დასრულდეს ძალადობა ამ ქვეყანაში!

აუცილებლად უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა მოძალადე! უმკაცრესად, რომ სხვამ ვეღარ გაბედოს სხვისი ჩაგვრა! სიყვარულისა და ერთმანეთის პატივისცემის გარდა არაფერი გამოგვიყვანს ამ მდგომარეობიდან! ვუსამძიმრებ დაღუპულის ოჯახს. ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კარადაში ნაპოვნმა პიკასოს ნახატმა მისი პატრონი გააბედნიერა

მივიწყებული პაბლო პიკასოს ნახატი, რომელიც კარადაში ამერიკის მენის შტატის მკვიდრმა ქალმა იპოვა, აუქციონზე გაიყიდა.

აუქციონი მასაჩუსეტსის შტატში გაიმართა. ვაჭრობის დროს 40X40 სანტიმეტრზე ნახატის ფასმა 150 ათას დოლარს მიაღწია. 120 დღის განმავლობაში მყიდველმა მისი ნამდვილობა ფონდ „პიკასოს ადმინისტრაციასთან“ უნდა დაამტკიცოს, რომელიც პიკასოს ნაწარმოებების ექსპერტიზითაა დაკავებული, ასევე – პიკასოს სახელთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამმართველოსთან. ნახატი კარადაში 50 წლის განმავლობაში ინახებოდა. სპეციალისტების აზრით, მას „სამკუთხა“ ეწოდება და 1919 წელსაა დახატული, როდესაც ცნობილი მხატვარი ლონდონის თეატრ „ალგამბრაში“ სერგეი დიაგილევის რუსული ბალეტის ამავე სახელწოდების სპექტაკლის კოსტიუმებსა და დეკორაციებზე მუშაობდა. ნახატის ყოფილი მფლობელის თქმით, ის მას სახლთან ერთად ბებიისგან მემკვიდრეობით ერგო. მისი მტკიცებით, ბებია 1920-იან წლებში დიდ ბრიტანეთში სწავლობდა, ხოლო მისი და – საფრანგეთში და რომ ორივეს ძალიან უყვარდა სხვადასხვა ნივთის შეგროვება და მოგზაურობიდან სახლში, აშშ-ში ჩამოტანა. ბებიები იშვიათი წიგნებისა და ხელოვნების ნაწარმოებების კოლექციონირებით იყვნენ გატაცებული. შავარაუდოდ, პიკასოს ნახატიც ერთ-ერთ ასეთ სუვენირს წარმოადგენდა, რომელიც მათ აშშ-ში ჩამოიტანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. მგალობელი ჩიტი; 2. ნბაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 3. ჩეჩნების, ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 4. ერთ-ერთი რელიგია; 6. გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 8. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში; 11. ბრტყელი ლოკოკინა, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 16. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ახალი წლის სახელწოდება სვანეთში.

თარაზულად: 1. ძველებური ქართული ურითმო ლექსი; 5. გერმანელი ფილოსოფოსი; 7. თეატრი ლონდონში, სადაც შექსპირის პიესები იდგმებოდა; 9. ყურის ექიმი; 10. წმინდა ოქრო; 13. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 14. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 15. გაწყალებული ღვინო; 19. ექიმის სპეციალობა; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. კუბის დედაქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა